COVID-19 და ვაქცინაცია

წამახალისებელი და შემაფერხებელი ფაქტორები ახალგაზრდებს შორის

ქცევით მეცნიერებაზე
დაფუძნებული კვლევა

UNFPA

კვლევა ჩატარდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ინიციატივით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ანგარიში მოამზადა ქცევითი მეცნიერების ექსპერტმა, ქეთევან გომელაურმა.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) შეხედულებებს.

სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის **გაეროს მოსახლეობის ფონდს** კვლევის ინსტრუმენტთა შემუშავებაში მონაწილეობისთვის, ასევე, **საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოსა და ქუთაისისა და მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებს** კვლევაში მხარდაჭერისთვის.

ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას უხდის UNFPA-ს თანამშრომლებს:

ნატალია ზაქარეიშვილსა და სოფიო ზალკალიანს.

©UNFPA 2021
ციტირებისათვის:
ქცევითი ინსაითების კომბინირებული კვლევა: COVID-19 და ვაქცინაცია:
წამახალისებელი და შემაფერხებელი ფაქტორები ახალგაზრდებს შორის
ავტორი: ქეთევან გომელაური, ქცევითი მეცნიერების ექსპერტი.

COVID-19 და ვაქცინაცია
წამახალისებელი და შემაფერხებელი ფაქტორების კვლევა ახალგაზრდებს შორის

ქცევით მეცნიერებაზე დაფუძნებული მიგნებები

კვლევის ანგარიში

თბილისი, საქართველო, 2022

სარჩევი

შემოკლებები 4

კვლევის შეჯამება 5

შესავალი 7

კვლევის კონტექსტი: COVID-19-ის ვაქცინაცია ახალგაზრდებში 7
კვლევის მიზანი და ამოცანები 7
კვლევის მეთოდები 8
კვლევის ინსტრუმენტები 8
შედარებითი ანალიზი 8
კვლევის ძირითადი მიგნებები 8
შფოთვა ან შიში [Concerns/fears] 9
ფასეულობათა ჯაჭვი - სიტყვებით გადმოცემული ასოციაციები COVID-19-ისა და ვაქცინაციის შესახებ 9
გადაწყვეტილების მიღება [Making a choice] 13
თავდაჯერებულობა და გადაწყვეტილების სიმყარე [Certainty and Confidence] 15
თავდაჯერებულობის ბარიერები (Confidence barriers) 18
ხელსაყრელობის ბარიერები (Convenience barriers) 18

რეკომენდაციები 31

რაოდენობრივი კვლევის დამატებითი მონაცემები 38

შემოკლებები

UNFPA - გაეროს მოსახლეობის ფონდი
NCDC - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
WHO - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
SARS-CoV-2 - ახალი კორონავირუსი COVID-19
mRNA vaccine - ვაქცინები, რომლებიც შეიცავს სპაიკ ცილის ინფორმაციის მატარებელ ანუ მესენჯერ-რნმ-ს. COVID-19-ის საწინააღმდეგო მ-რნმ ვაქცინებია: Moderna/NIAID; Pfizer-BioNTech.

კვლევის შეჯამება

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ მხარდაჭერილი კვლევა - COVID-19 და ვაქცინაცია: წამახალისებელი და შემაფერხებელი ფაქტორები ახალგაზრდებს შორის- მიზნად ისახავს COVID-19-ის ვაქცინაციასთან დაკავშირებულ გამოწვევათა ანალიზს ქცევითი მეცნიერების ჭრილში. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში შეფასდა ფაქტორები, რომლებიც 18-29 წლის ახალგაზრდებს უბიძგებს COVID-19-ის ვაქცინით აცრისა ან მასზე უარის თქმისკენ; ამასთან, გამოვლინდა ის ასპექტებიც, რომლებიც გავლენას ახდენს მათი დამოკიდებულებებისა და წარმოდგენების ფორმირებაზე ვაქცინაციის მიმართ და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაზეც.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შეთქმულების თეორიებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს COVID-19-ის ვაქცინაციის პროცესზე ახალგაზრდებში. აღსანიშნავია, რომ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ვაქცინებთან, არამედ უშუალოდ ვირუსთან დაკავშირებული მითებიც.

ახალგაზრდებს, რომელთაც ვირუსის ხელოვნურად გამოყვანის სჯერათ, ნაკლებად აინტერესებთ ვაქცინების შემადგენლობაც და ზემოთ ხსენებული მითებიც, ისინი იმთავითვე არ ენდობიან ვაქცინებს და დარწმუნებულნი არიან, რომ მათი არსებობა კონკრეტულ მიზანს ემსახურება, ისევე, როგორც თვითონ ვირუსი. გამოიკვეთა, რომ გეგმიური ვაქცინაციის მიმართ მიმღებლობა საკვლევ პოპულაციაში არ განაპირობებს მიმღებლობას ახალი ვაქცინების მიმართ, მაშინ, როდესაც ზოგადად, ვაქცინაციის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებით გამორჩეული რესპონდენტები არც გეგმიურ ვაქცინაციას მიმართავენ და არც COVID-19-ის ვაქცინაციას.

ვაქცინების უსაფრთხოება და ეფექტიანობა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მათ შორის, ვაქცინირებულ საკვლევ პოპულაციაშიც. გამოწვევად რჩება ნდობა ვაქცინების მომწოდებელთა, ასევე, სამედიცინო პერსონალის კომპეტენტურობის მიმართ. პრობლემური საკითხია არათანმიმდევრული მიდგომები და ცვალებადი პოლიტიკაც. ეს, ერთი მხრივ, უკმაყოფილებას იწვევს ვაქცინირებულ ადამიანებში, რომლებმაც შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ვაქცინაციის განმეორებითობა, მეორე მხრივ კი კიდევ უფრო ამყარებს არავაქცინირებული საკვლევი პოპულაციის უნდობლობას სისტემის მიმართ.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გამოწვევად რჩება სოფლად მცხოვრებთათვის და ეროვნული უმცირესობებისთვის. ინფორმაციის ნაკლებობა ამ სამიზნე პოპულაციაში მყარ საფუძველს ქმნის მითების გასავრცელებლად. შესაბამისად, ეს ადამიანები ვერც COVID-19-ით დაინფიცირების რისკს აცნობიერებენ და ვერც ვირუსის შესაძლო უარყოფით გავლენას ჯანმრთელობაზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაბალანსებული და გამჭირვალე ინფორმაციის მიწოდება ვაქცინაციის რისკებსა და ეფექტიანობაზე, მათ შორის, კვლევებით გამყარებულ გვერდით ეფექტებზე, გავლენას ახდენს ვაქცინირების გადაწყვეტილებაზე. ის ზრდის ნდობას და სარგებლის გააზრებას, რაც საქართველოში რეალური გამოწვევაა ახალგაზრდების ვაქცინირების კუთხით. გამჭვირვალე კომუნიკაციისას გასათვალისწინებელია ვაქცინათა ტექნიკური მახასიათებლებიც, ვინაიდან, სხვადასხვა კვლევის თანახმად, ეს ამცირებს რისკის

აღქმას. ვაქცინაციაზე მიმართვიანობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია ინტეგრირებული საკომუნიკაციო მიდგომების გამოყენება.

წინამდებარე კვლევის მიგნებათა გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოში ვაქცინაციის საკომუნიკაციო კამპანიის გამოწვევებსა და წარმატებას. მართალია, საკვლევ პოპულაციაში ვაქცინაციის სანდო წყაროდ ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები დასახელდნენ, თუმცა, გზავნილის მიღების ეფექტიანობის კუთხით, მათი გავლენა განსხვავდება: იმისათვის, რომ მიმღებმა ირწმუნოს გზავნილის შინაარსი და მოუნდეს მისი გაზიარება, მნიშვნელოვანია, გზავნილის გამხმოვანებელი (სპიკერი) მისი „ერთგული“ დარჩეს. ეს გულისხმობს სპიკერის ვერბალურ და ქცევით ერთგულებას გზავნილის შინაარსის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გზავნილის შინაარსი არ უნდა იცვლებოდეს, დასაშვებია მხოლოდ მისი გამყარება (მაგ: სტატისტიკით), გამხმოვანებლის ქცევა კი (მით უმეტეს, თუ ის საჯარო ფიგურაა) სრულად

შეესაბამებოდეს მის გზავნილს. ამ კუთხით, მცირედი გადახვევაც კი შეიძლება დამაზიანებელი აღმოჩნდეს, რისი პრაქტიკული მაგალითებიც მოცემულ ანგარიშში აისახა.

საკვლევი პოპულაციის მხრიდან ბიძინა კულუმბეგოვისა და გიორგი ღოღობერიძის დასახელება სანდო მაცნეებად სწორედ თავიანთი გზავნილებისადმი ერთგულებით აიხსნება. მათ შეფასებაზე გავლენა იქონია კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა ასპექტმა - კომუნიკაციის დადებითმა ფორმამ/ენამ. ჯანდაცვის სფეროს დანარჩენ ექსპერტთა მიმართ, რომლებსაც საკვლევი პოპულაცია წარმატებულ სპიკერებად ასახელებს, დამოკიდებულება არაერთგვაროვანია - მათ უსმენენ, თუმცა ბოლომდე არ ენდობიან. მიზეზებს შორის სახელდება არასაკმარისი ერთგულება გზავნილის მიმართ, რაც გამოიხატება როგორც ცვალებადი პოზიციით საკითხისადმი, ასევე გზავნილისა და ქცევის აცდენით. ჯანდაცვის სფეროს ექსპერტთა მიმართ საზოგადოების[1] ნდობის დაქვეითებაზე პასუხად, მთავრობებმა - მათ შორის, საქართველოშიც - დაიწყეს ცნობილი ადამიანების ჩართვა სპიკერებად.[2] მართალია, ასეთმა ადამიანებმა შეიძლება აამაღლონ ცნობიერება ჯანდაცვის საკითხებზე, განსაკუთრებით, თაყვანისმცემლებს შორის, თუმცა ეს შეიძლება არ მოიცავდეს ინფორმირებას თანმდევ რისკებსა და მკურნალობაზე[3], რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პანდემიის დროს.

კრიზისის პერიოდში დიდი გამოწვევაა ისიც, რომ ადამიანები ხშირად ავლენენ „ოპტიმისტურ მიკერძოებას“ (optimism bias) - რწმენას, რომ ცუდი რამ, სხვებთან შედარებით, მათ ნაკლებად დაემართებათ. „ოპტიმისტური მიკერძოება“ შეიძლება სასარგებლო იყოს უარყოფითი ემოციების ასაცილებლად[4], თუმცა, ამავე დროს, მან შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანებს დაინფიცირების რისკების სათანადოდ შეფასებაში[5] და მათ უგულებელყონ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გაფრთხილებები.[6] მაგალითად, კითხვარის რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ COVID-19-ით გამოწვეულ საფრთხეს საზოგადოება გადაჭარბებულად აფასებს ან ფიქრობს რომ ვირუსი არ არსებობს, უმეტესწილად არ არის ვაქცინირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საკომუნიკაციო სტრატეგიების დაგეგმვისას დაცული იყოს ბალანსი, ერთი მხრივ, „ოპტიმისტური მიკერძოების“ დაძლევასა და, მეორე მხრივ, გადაჭარბებული შფოთვისა და შიშის აცილებას შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არარაციონალური ოპტიმიზმით აღსავსე ახალგაზრდები სასურველ ქცევამდე უნდა მიიყვანონ არა შიშისა და შფოთვის გამოწვევით, არამედ რაციონალური ახსნით.

ძლიერი ემოციური რეაქციების შემთხვევაში, ადამიანებმა შეიძლება უგულებელყონ ციფრებში გამოხატული მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა პრობლემის ალბათობა და მასშტაბი. რესპოდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მედია უარყოფითად ავრცელებს ინფორმაციას COVID-19-ის შესახებ, უფრო მეტად ასახელებს ინფიცირებულ პირთა და გარდაცვლილთა რაოდენობას, და არა უკვე გამოჯანმრთელებულ ან მსუბუქი სიმპტომების მქონე პირთა რიცხვს, რაც ზრდის უარყოფით ემოციებს და უგულებელყოფას რისკების მიმართ. სხვადასხვა ქცევითი ინტერვენციის საფუძველზე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ დადებითად ფორმულირებული კომუნიკაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებზე გაზრდის საზოგადოების დამოკიდებულებას; ამასთანავე, უარყოფითი ემოციების შემსუბუქებით, გააძლიერებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ორიენტირებულ ქცევებს.

შესავალი

კვლევის კონტექსტი: COVID-19-ის ვაქცინაცია ახალგაზრდებში

პანდემიის ფონზე, კომუნიკაციის როლი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცრურწმენებისა და ქცევის შეცვლაში გადამწყვეტია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის. უკვე ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები და კვლევები ადასტურებს, რომ COVID-19-ის

[1] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32626439/
[2] https://www.instagram.com/p/B996tSCBjBQ/
[3] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/24357847/
[4] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/16126162/
[5] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/22153158/
[6] https://osf.io/dz428

საწინააღმდეგო ვაქცინაცია მილიონობით ადამიანს შეუნარჩუნებს სიცოცხლეს, თუმცა ბევრი ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მიღების პროცესშია, ან უარს ამბობს მასზე. განსაკუთრებით მაღალია სკეპტიციზმი ახალგაზრდებში, რასაც კომპლექსური მიზეზები აქვს. მათ შორისაა მითები, რომ ვაქცინაციამ შეიძლება გავლენა იქონიოს მათ რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ვაქცინაციით გამოწვეული დნმ-ის სტრუქტურის შეცვლაზე და ასევე, გამოიწვიოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა გართულებები. მსგავსი მცდარი მტკიცებულებები განსაკუთრებით ეჭვებს აღძრავს რეპროდუქციული ასაკის ქალებსა და კაცებში.

საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, ქვეყანაში შენელდა ვაქცინაციის პროცესი, ხოლო ვაქცინის დოზები გამოუყენებელი რჩება, რაც შეშფოთებას იწვევს, რადგან ვერ ხერხდება იმუნიზაციის მიზნების მიღწევა. მასობრივი იმუნიტეტის გამოსამუშავებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ვაქცინირებული მოსახლეობის წილის გაზრდა. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ მიმდინარე ზოგადი საკომუნიკაციო ინტერვენციები, ასევე, გამკაცრებული ზომები, გარკვეულწილად გავლენას ახდენს ვაქცინაციის პროცესზე, თუმცა პროგრესი უმნიშვნელოა, მათ შორის, ახალგაზრდებშიც. 2021 წლის (ოქტომბრის) მონაცემებით, 18–29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 18 პროცენტია ორჯერადად აცრილი.[7]

ახალგაზრდებში COVID-19-ის ვაქცინაციაზე დაბალი მოთხოვნისა და მიმართვიანობის მიზეზები საქართველოში ჯერ არ არის შესწავლილი. შესაბამისად, ხელმისაწვდომი ინფორმაცია შესაძლო ბარიერებზე მხოლოდ ვარაუდებს მოიცავს და არ ეფუძნება მტკიცებულებებს.

ბევრი ექსპერტი და პოლიტიკოსი იზიარებს მოსაზრებას, რომ მხოლოდ ტრადიციული და ზოგადი საინფორმაციო ან საგანმანათლებლო კამპანიები არ კმარა სერვისებზე მოთხოვნის გასაზრდელად: ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება კომპლექსური ინსტრუმენტების გამოყენებითა და სამიზნე ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების/შესაძლებლობების გათვალისწინებით. ეს დაეხმარება ადამიანებს სწორი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის, ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ახალგაზრდებში ვაქცინაციის ხელშემწყობი მიზანმიმართული და ინტეგრირებული საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავებისას, გასათვალისწინებელია როგორც მათი საჭიროებები და შესაძლებლობები, ასევე ინდივიდის სპეციფიკური ქცევის ძირითადი მახასიათებლები.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ქცევითი მეცნიერების ჭრილში შეისწავლოს და გაანალიზოს COVID-19-ის ვაქცინაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, ბარიერები და წამახალისებელი ფაქტორები.

კვლევის ამოცანებია: გამოავლინოს, თუ რა განაპირობებს დაბალ მოთხოვნას COVID-19-ის აცრაზე და ვაქცინის დაბალ ათვისებას ახალგაზრდებში; განსაზღვროს ფაქტორები, რომლებიც წაახალისებს ვაქცინაციის პროცესს; მტკიცებულებებზე დაყრდნობითა და ქცევითი პერსპექტივების გათვალისწინებით, შეიმუშაოს ისეთი საკომუნიკაციო ინტერვენციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბარიერების აღმოფხვრას და ახალგაზრდებს წაახალისებს ასაცრელად.

კვლევის მეთოდები

კვლევა კომბინირებულია და მოიცავს *თვისებრივ* და *რაოდენობრივ* კომპონენტებს.
თვისებრივი კვლევა ფოკუსჯგუფებში დისკუსიის მეთოდით (FDGs) ჩატარდა საქართველოს ხუთ რეგიონში (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და თბილისი). ეს 10 ფოკუსჯგუფი მიზნად ისახავდა, შეეგროვებინა კონტექსტის შესაბამისი ცოდნა, თუ როგორია ახალგაზრდების დამოკიდებულება, ქცევები, წარმოდგენები და აღქმები COVID-19-ის ვაქცინაციასთან მიმართებით. თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩნენ შემდეგი კრიტერიუმებით: ქართველი ახალგაზრდები, მათ შორის, შშმ პირები; სარისკო ქცევის მქონე ახალგაზრდები; ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები და მშობლები.

[7] www.moh.gov.ge

ფოკუსჯგუფებში მონაწილეობდა 18-29 წლის 87 ახალგაზრდა (45 ქალი, 42 კაცი) და 13 მშობელი (11 ქალი, 2 კაცი).

რაოდენობრივმა კომპონენტმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი (ქვეყნის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები). რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის პარტნიორთა მეშვეობით, კვლევაში მონაწილეობდნენ 18-29 წლის ახალგაზრდები. რესპონდენტებს გაეგზავნათ კითხვარის ბმული, რომელიც ონლიან შეავსეს. 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში კითხვარი შეავსო 342-მა ახალგაზრდამ სხვადასხვა რეგიონიდან. აქედან 244 იყო ქალი და 98 - კაცი.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიგნებები ძირითადად ეყრდნობა თვისებრივი კვლევის შედეგებს. რაოდენობრივი კომპონენტის შემოტანა კვლევის განხორციელების პროცესში მოხდა გვიან ეტაპზე. კერძოდ, ეპიდ-სიტუაციით გამოწვეული შეზღუდვების გამო, კვლევის პარტნიორებს გაუჭირდათ ფოკუს ჯგუგებში მონაწილოებისთვის შეერჩიათ, ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი პირები. შესაბამისად, უმეტესწილად, მონაწილეები ერთმანეთს იცნობდნენ და რიგი საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ერიდებოდნენ თავისი პოზიციის ღიად დაფიქსირებას, რაც გამოიკვეთა დისკუსიისას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმით. აქედან გამომდინარე, ფოკუსჯგუფების შედეგად ამოღებული მონაცემების გარკვეულწილად შედარებისა და გამყარების მიზნით, პირველი რამდენიმე ფოკუსჯგუფის შემდეგ გადაწყდა დამატებით რაოდენობრივი კვლევის კითხვარის შემუშავება. გამომდინარე იქედან, რომ კვლევის მიზანი არა

ზოგადი, არამედ დეტალური ინფორმაციის მოპოვება იყო, კითხვარი მოიცავდა, როგორც დახურულ, ასევე, ღია კითხვებს. ღია კითხვებმა რესპონდენტებს მისცა შესაძლებლობა დამატებით დაუფარავად გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილია დოკუმენტის ბოლო ნაწილში.

კვლევის ინსტრუმენტები

ფოკუსჯგუფების სახელმძღვანელო შემუშავდა ქცევითი მეცნიერების მიდგომათა გამოყენებით, რომელიც ასევე მოიცავდა მომხმარებელზე ორიენტირებული დიზაინის მიდგომის ემპათიურ ინსტრუმენტს - პერსონას (PERSONA).

შედარებითი ანალიზი

ანგარიშის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოდგენილია მიგნებები საერთაშორისო კვლევებიდან, რომლებიც 2020-2021 წლებში ჩატარდა და მიზნად ისახავდა COVID 19-ის ვაქცინაციის ბარიერთა გამოვლენას ახალგაზრდებში. ასევე მოყვანილია მაგალითები ქცევით მეცნიერებაზე დაფუძნებული საერთაშორისო ინტერვენციებიდან, რომლებიც განხორციელდა და ხორციელდება COVID-19-ის ვაქცინაციის წასახალისებლად.

კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევამ დაადგინა ფაქტორები, რომლებიც ახალგაზრდებს უბიძგებენ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრისა ან მასზე უარის თქმისკენ; ამასთან, გამოავლინა ისეთი ასპექტებიც, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და წარმოდგენების ფორმირებაზე ვაქცინაციის მიმართ და, შესაბამისად, მათ გადაწყვეტილებასა და ქცევაზეც.

შფოთვა ან შიში (Concerns/fears)

ამ ფაქტორის შესწავლით, კვლევა შეეცადა, ამოეცნო ის ძირითადი შფოთვები და შიშები, რომლებიც უკავშირდება როგორც COVID-19-სა და მის გავრცელებას (პანდემიას), ასევე ვაქცინაციას. მათი გაანალიზებით, გამოიკვეთა, რომ შიში ან/და შფოთვა ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების ქცევასა და გადაწყვეტილებებზე, ვაქცინაციის მიმართაც.

ფასეულობათა ჯაჭვი - სიტყვებით გადმოცემული ასოციაციები COVID-19-ისა და ვაქცინაციის შესახებ

ახალგაზრდების უმრავლესობაში სიტყვა COVID-19 იწვევს ისეთ ასოციაციებს, როგორიცაა ქაოსი, კარანტინი, შეზღუდვები, სიკვდილი, ჩაკეტილობა, პირბადე, დისტანცია, სტრესი, გაურკვევლობა, ხოლო **მშობლების შემთხვევაში** ეს ასოციაციები უკავშირდება ყოველდღიური ცხოვრების წესის შეცვლას: ზუმი, შინიდან მუშაობა, ბავშვი სახლში, ლოქდაუნი, უმუშევრობა, კომენდანტის საათი, უმოქმედობა, პანდემია, ახლობელთა ნახვის შეზღუდვა, ონლაინსკოლა, სკოლები სახლში, დეზინფექცია, ანტისეპტიკური საშუალებები და შიში.

ვაქცინაციის სტატუსის მიუხედავად, მონაწილეთა უმრავლესობისთვის **COVID 19-ის საწინააღმდეგო აცრა** ვირუსის დამარცხების შესაძლებლობაა, თუმცა სკეპტიკურად განწყობილ ახალგაზრდებში ის მაინც ასოცირდება გაურკვევლობასთან, თავისუფლების შეზღუდვასა და იძულებასთან.

მშობლებში COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ცალსახად უკავშირდება ვირუსის გადაცემისა და დაავადების გართულების რისკების შემცირებას, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება ხანდაზმულ და ქრონიკული დაავადებების მქონე ოჯახის წევრებს. განსხვავებით COVID 19-ის საწინააღმდეგო აცრისგან, **გეგმიური ვაქცინაციები** პრაქტიკულად არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ არც ერთ ფოკუსჯგუფში (როგორც თბილისში, ისე რეგიონში). კვლევის მონაწილეთა თანხმად, ეს საკითხი არც განხილულა და ყველა მინდობილია ექიმს. ასეთი ნდობა, ძირითადად, ეფუძნება ძველი ვაქცინების ხანგრძლივ გამოყენებას რამდენიმე თაობის მიერ. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ განხილვის საგანი, ძირითადად, მწარმოებელი ქვეყნა ხდებოდა, სანდოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

უმრავლესობა ასევე აღნიშნავს, რომ მათთვის ცნობილი იყო გეგმიური ვაქცინების გვერდითი მოვლენები:

„ვიცი, რომ აცრებს ხანდახან მოყვება გართულებები, მაგრამ აუცრელობამ, ვიცი, რომ უფრო უარესი შედეგი შეიძლება მოიტანოს, მაშინ რას დავეძებ ამ გვერდით მოვლენებს“.

ვიდრე COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების შემადგენლობაზე მსოფლიო დისკუსიები დაიწყებოდა, გეგმიური ვაქცინების შემადგენლობა საქართველოში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა, თუმცა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა ფოკუსჯგუფებში გაჟღერდა ერთ-ერთი რეგიონის (სამეგრელო-ზემო სვანეთი) მაგალითი, სადაც, პედიატრთა გამოკითხვით, COVID-19-ის ვაქცინისადმი უნდობლობამ გავლენა იქონია გეგმურ ვაქცინაციაზეც და მიმართვიანობამ იკლო.

განსხვავებულია დამოკიდებულება გრიპის ვაქცინების მიმართ: საუბრისას გამოიკვეთა, რომ ფოკუსჯგუფის ყველა მონაწილე აცრილი იყო გეგმიური ვაქცინებით, თუმცა გრიპის ვაქცინების მიმართ მათ არ ჰქონდათ ასეთი უპირობო დამოკიდებულება. გრიპის საწინააღმდეგო აცრების შედარებით ხანგრძლივი ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მონაწილეები ჯერ კიდევ არ არიან საკმარისად დარწმუნებულნი მათ გამოყენებაში: ეს საკითხი ოჯახში ყოველწლიურად განიხილება და, საბოლოო ჯამში, არც ბავშვებს ცრიან და არც თვითონ იცრებიან.

გამოიკვეთა, რომ გეგმიური ვაქცინაციის მიმართ მიმღებლობა საკვლევ პოპულაციაში არ განაპირობებს მიმღებლობას ახალი ვაქცინების მიმართ, მაშინ, როდესაც ზოგადად ვაქცინაციის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებით გამორჩეული რესპონდენტები არც გეგმურ ვაქცინაციას მიმართავენ და არც COVID-19-ის ვაქცინაციას.

ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ ცვლილებაზე. ახალგაზრდებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ ვინც იღებს ცვლილებას, საკუთარ დროსა და ენერგიას მიმართავს ისეთ

საკითხებზე, რომლებსაც რეალურად აკონტროლებს (ვაქცინაცია), და არ ხარჯავს იმაზე, რისი კონტროლიც არ შეუძლია (პანდემია).

COVID-19-ის, როგორც ვირუსის შეფასება

საკვლევი პოპულაციის უმრავლესობა COVID-19-ს საშიშ, თუმცა მართვად ვირუსად მიიჩნევს და ამბობს, რომ ყველაზე მეტად ის ფსიქოლოგიურ საფრთხეს ქმნის. ასეთი დამოკიდებულება, ძირითადად, უკავშირდება მის ამოუცნობ ბუნებას, არაპროგნოზირებად განვითარებასა და ახალი შტამების გამოჩენას. მშობელთა ფოკუსჯგუფებში უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მოსასმენია სიტყვები: „COVID-19 კიდევ დიდ ხანს დარჩება ჩვენთან და უნდა ვისწავლოთ მასთან ერთად ცხოვრება“.

მართლაც, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ამ კრიზისის დროს, ემოციური, ქცევითი და ფსიქიკური აშლილობების რიცხვი, როგორც წესი, აღემატება COVID-19-ით დაზარალებულთა რაოდენობას. ფაქტია, რომ გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, COVID-19-ით დაინფიცირების შიში არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც შიში პანდემიის ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების მიმართ. Mental health Covid-19, 2020

პროცენტი), რომლებიც COVID-19-ს საშიშ, თუმცა მართვად ვირუსად მიიჩნევენ, უმრავლესობა ვაქცინირებულია.

შეფასებები და დამოკიდებულებები COVID-19-ით გამოწვეული საფრთხეების შესახებ

უმრავლესობა ფიქრობს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად რეალისტურია, თუმცა ცვალებადი: ერთი მხრივ, პირველადი პანიკა გადავლილია, თუმცა პანიკური დამოკიდებულებები პერიოდულად ბრუნდება, რისი მიზეზებიც, როგორც წესი, უკავშირდება ვაქცინებსა და ვაქცინაციაზე გავრცელებულ ინფორმაციას (მაგ: ინფორმაცია, რომ ომიკრონის შტამის შემთხვევაში, არსებული ვაქცინები არაეფექტიანია და ვაქცინირებულებსაც მძიმედ გადააქვთ ვირუსი). მეორე მხრივ, შესამჩნევია საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება COVID 19-ის საფრთხეების მიმართ.

„გაუფერულდა დამოკიდებულება, სიკვდილიანობის სტატისტიკა თითქოს მხოლოდ ციფრები გახდა და დაიკარგა შეგრძნება, რომ გარდაცვლილი ადამიანები ვიღაცის ოჯახის წევრები არიან. მხოლოდ მაშინ ახსენდებათ კოვიდის არსებობა, თუ ის მათ გარემოცვასთან ახლოს მოვა, ვინმე ახლობელს დაემართება და ხელშესახები ხდება“.

იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ COVID-19-ით გამოწვეული საფრთხე გადაჭარბებულია და საფრთხე არ არსებობს, არ არის ვაქცინირებული.

განსხვავებულია დამოკიდებულება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. საკვლევი პოპულაციის უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სოფელში ინფორმაციის ნაკლებობაა და ხშირად COVID-19-ის არსებობასაც უარყოფენ. შესაბამისად, გამოკვეთილ სიმპტომებსაც კი, ისინი ვირუსს არ უკავშირებენ და არც რეგულაციებს იცავენ.

გავრცელებული მითები COVID-19-ისა და ვაქცინების შესახებ

ვაქცინაციასთან დაკავშირებულ მითებს შორის ყველაზე ხშირად მონაწილეთა შორის დასახელდა ვაქცინით გამოწვეული უშვილობა, სხეულში ვაქცინასთან ერთად თხევადი ჩიპების შეყვანა, ვაქცინაციით გამოწვეული დნმ-ის სტრუქტურის შეცვლა, უკუჩვენებები რამდენიმე წელიწადში, „სისხლის გათეთრება“ (ლეიკემია) და ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ქორწინება.

COVID-19-თან დაკავშირებული ძირითადი მითები შეთქმულების თეორიებს უკავშირდება, კერძოდ, მის ხელოვნურ გამოყვანა-გავრცელებას მსოფლიო მოსახლეობის შესამცირებლად და ამით ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვებას ეროვნული კორპორაციების მიერ (ჩინეთი). მიუხედავად იმისა, რომ ასეთ თეორიებზე ფოკუსჯგუფებში ირონიულად საუბრობდნენ, პერსონისა და კითხვარის რესპონდენტთა პასუხების გაანალიზებით, გამოიკვეთა, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საზოგადოების ქცევაზე ვაქცინაციის მიმართ, მათ შორის, საკვლევ პოპულაციაშიც.

COVID-19-ის ვაქცინაციასთან დაკავშირებული სხვა მითები:

- COVID-19-ის ვაქცინა გამიზნული იყო მსოფლიო მოსახლეობის შესამცირებლად.
- ვაქცინის შემუშავებისას კლინიკური კვლევების კრიტიკული ფაზები გამოტოვეს, რადგან ფარმაცევტულმა კომპანიებმა არ აუნაზღაურეს კვლევაში მონაწილე ადამიანებს ვაქცინის ტესტირებით გამოვლენილი არასასურველი გვერდითი მოვლენები.
- COVID-19-ის ვაქცინა იქმნება რიბონუკლეინის მჟავას (mRNA) გამოყენებით, რომელსაც შეუძლია, შეცვალოს ადამიანთა დნმ (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) და გამოიწვიოს გენის მოდიფიცირება, კიბო, ან უნაყოფობა.

შეთქმულების თეორიები ისტორიულად ხელს უშლიდა მოსახლეობის იმუნიზაციას. ადამიანებს არ სურდათ იმუნიზაცია, რადგან ფიქრობდნენ, რომ ვაქცინები შეიცავს უნაყოფობის გამომწვევ კომპონენტებს, ან ავრცელებს ინფექციურ პათოგენებს, როგორიცაა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). თავის დროზე, ბევრ ქვეყანაში ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა პოლიომიელიტის ვაქცინას, რადგან მიიჩნევდნენ, რომ უნაყოფობას იწვევდა, რასაც მოჰყვა პოლიომიელიტის შემთხვევების ზრდა.
ინფორმაცია, რომ COVID-19 თაღლითობაა ან ბიოლოგიური იარაღი, ხელოვნურად შემუშავებული ჩინურ ლაბორატორიაში, ვირუსის გავრცელებისთანავე დაიწყო სოციალურ მედიაში. საერთაშორისო კვლევებით დადგინდა, რომ რაც უფრო მეტ რესპონდენტს სჯეროდა ამ თეორიების, მით ნაკლები იყო ალბათობა, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ ვაქცინაციას.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით და გამოცდილებით, ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტი მითების დასამსხვრევად არის პირისპირ კომუნიკაცია.

„თუ ადამიანები არ იცრებიან, არ ნიშნავს, რომ ანტივაქსერები არიან, უბრალოდ, მათ რაღაც ინფორმაცია აკლიათ. პირისპირ უნდა დაუჯდე, აუხსნა და მიაწოდო მათთვის გასაგები ინფორმაცია, ასე დაითანხმებ აცრაზე".

„მოსახლეობას, რომელსაც წაკითხულის გააზრება უჭირს, ბუკლეტით ვერ დააჯერებ, რომ აცრა აუცილებელია".

ფოკუსჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ შეთქმულების თეორიებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ადამიანებზე და, რომ არა ნდობა ზოგადად მეცნიერების მიმართ, გაუჭირდებოდათ ვაქცინაციის გადაწყვეტილების თავდაჯერებულად მიღება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ვაქცინირებულნი არიან, მაინც არ არიან დარწმუნებულნი, რას გამოიწვევს ეს ვაქცინაცია სამომავლოდ. ისინი ამბობენ, რომ გადაწყვეტილება შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მიიღეს.

„სამოქალაქო პასუხიმგებლობით, საბოლოო ჯამში, ჩვენ ყველა ვილაცას მივენდეთ, ვინ იდგა ვაქცინაციის მხარეს და ვინ მოწინააღმდეგე მხარეს."

ფოკუსჯგუფებში უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მედდის დალუპვა ვაქცინაციის პირველ დღეებში ყველაზე დიდი დარტყმა იყო, რომელმაც გავლენა იქონია ვაქცინაციის პროცესზე.

აღსანიშნავია, რომ ფოკუსჯგუფის ზოგიერთი მონაწილე მეძდის დაღუპვიდან მეორე დღეს *Astrazeneca*-ს ვაქცინით აიცრა, რათა ჩანასახშივე ჩაეხშო მითი, რომ ვაქცინა კლავს. ვაქცინის ორსულობაზე მოქმედების მითი უკვე დაიმსხვრა - „გააჩინეს აცრილებმა შვილები და ყველაფერი კარგად აქვთ“.

ფოკუსჯგუფებში არაერთხელ აღინიშნა, რომ მითების გამყარების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, გავლენიან ადამიანთა არათანმიმდევრული ქცევა, ხოლო მეორე მხრივ, არათანმიმდევრული და ცვალებადი რეგულაციები.

ვაქცინირებული საკვლევი პოპულაციის გამოცდილებით, ანტივაქსერები მობილიზებულნი და კარგად მომზადებულნი არიან. ანტივაქსერები ეძებენ თანამოაზრეებს და მარტივად იკვრება წრე, რომელიც ვილაცამ უნდა გაარღვიოს - დამაჯერებელი არგუმენტებით დაუსაბუთოს, რომ რასაც ისინი ამტკიცებენ, სიმართლე არ არის.
კვლევამ გამოავლინა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლადია შეთქმულების თეორიების მიმართ. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში მითების გავრცელებას ხელს უწყობს ენობრივი ბარიერიც. ვაქცინირებული პოპულაციის თანახმად, საინფორმაციო წყაროები, რომლებსაც რეგიონების მოსახლეობა უყურებს (ტელევიზია და ონლაინ საინფორმაციო მედია), არ ავრცელებენ საკმარის ინფორმაციას ვაქცინაციის შესახებ.

„როდესაც აცხადებენ კოვიდით გარდაცვალებების შესახებ, სულ უმატებენ, რომ პაციენტს ჰქონდა თანმხლები დაავადებები. ეს საერთოდ უნდა ამოიღონ“.

„ყოველდღე პროპაგანდა უნდა მიდიოდეს ვაქცინაციის და პირიქით ხდება“.

ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა გაიხსენეს ახალციხის მერიისთვის შეთავაზებული წინადადება: საზოგადოებრივ პარკში დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე გაეშვათ ვაქცინაციის წამახალისებელი რგოლები, თუმცა ეს საკითხი დღემდე განიხილება. ვაქცინაციის პროცესის დაწყებისას, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალციხეში მოამზადეს პეტიცია, რომ ვაქცინაციის საიტი ხელმისაწვდომი ყოფილიყო სომხურ ენაზეც, მაგრამ უარი მიიღეს. სომხურენოვანი მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლადია, მითების მიმართ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ რესპონდენტებში. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა თანახმად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სომხურენოვან სკოლებში მხოლოდ დირექტორებისა და მასწავლებლების აცრა მოხერხდა, ამის იქით პროცესი არ წასულა.

კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეთქმულების თეორიებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს COVID-19-სა და ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ძირითად შიშებსა და შფოთვებზე ახალგაზრდებში. სადაც ინფორმაციის ნაკლებობაა, შეთქმულების თეორიები განსაკუთრებულად მარტივად იდგამენ ფესვს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვაქცინაციის პროცესზე.

აღსანიშნავია, რომ გავლენას ახდენს არამხოლოდ COVID-19-ის ვაქცინებთან დაკავშირებული, არამედ უშუალოდ ვირუსთან ასოცირებული მითებიც. პოპულაციას, რომელსაც ვირუსის ხელოვნურად გამოყვანის სჯერა, ნაკლებად აინტერესებს ვაქცინების შემადგენლობა და, ზოგადად, მათთან დაკავშირებული მითები: ის იმთავითვე არ ენდობა ვაქცინებს და დარწმუნებულია, რომ ისინი კონკრეტულ მიზანს ემსახურებიან, ისევე, როგორც ვირუსი.

გადაწყვეტილების მიღება (Making a choice)

კონკრეტული ქცევისათვის, აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა ამ პროცესზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი. ვაქცინაციის გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედებს ადამიანთა პირადი გამოცდილება, ჯანდაცვის სისტემასთან ურთიერთობა, ან ვაქცინით მართვადი დაავადებების გამოცდილება. გადაწყვეტილების მიღებისას, ადამიანთა უმეტესობა ეძებს ჯანდაცვის პროვაიდერთა რჩევებს, მაგრამ ეს მათ ყოველთვის ვერ ეხმარება

საკითხის შესწავლით, განისაზღვრა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა საკვლევი პოპულაციის არჩევანი (აცრა/უარის თქმა ვაქცინაციაზე).

წამახალისებელი და შემაფერხებელი ფაქტორების ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე

ფოკუსჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ არჩევანს (როგორც ვაქცინირებას, ასევე მისგან თავშეკავებას) უკავშირებს მათ სოციუმსა და გარემოცვას. კითხვარის რესპონდენტთა 28,4 პროცენტმა ვაქცინაციის მოტივატორად დაასახელა ხელმისაწვდომი ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები/სანდო წყაროები, 12,9 პროცენტმა - სოციალური გარემო და მეგობრები. ფოკუსჯგუფებში ვაქცინაციისგან თავშეკავების ძირითად მიზეზად სახელდება არგუმენტირებული ინფორმაციის ნაკლებობა - რა სარგებელი მოაქვს ვაქცინას, გარდა იმისა, რომ ლეტალობა ნაკლებია ინფიცირების შემთხვევაში.

„რატომ არის სხვადასხვა ვაქცინა ჩვენთან, რატომ არ არის ერთი ყველასთვის?“

„ვაქცინირებულებშიც მიდის რთულად კოვიდი და გარდაცვლილებიც არიან. აუცრელ ხალხსაც მარტივად გადააქვს კოვიდი, როგორც აცრილებს და, აი, რატომ უნდა გავიკეთო ვაქცინა, რომელიც არ ვიცი, რას იწვევს?“

კითხვარის რესპონდენტები ვაქცინაციისგან თავშეკავების მიზეზად, სანდო ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად, ასახელებენ ვაქცინის შესაძლო გვერდით მოვლენებსა და სწრაფად შექმნას, მათი მეოთხედი კი მიზეზებს შორის მიუთითებს ვაქცინით გამოწვეულ უნაყოფობასა და სიკვდილსაც. საკვლევი პოპულაციის ნაწილს გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა ვაქცინის სანდოობა და ხარისხი. ფოკუსჯგუფებში მეტი სანდოობით სარგებლობს *Sinopharm*-ის ვაქცინა, მაშინ, როდესაც კითხვარის რესპონდენტთა უმრავლესობა უპირატესობას *Pfizer*-ს ანიჭებს.

> კითხვარის ვაქცინირებულ რესპონდენტებში *Sinopharm*-ის ვაქცინას მხოლოდ ის ახალგაზრდები ენდობიან, რომლებმაც ვაქცინაციის მოტივატორად ოჯახის გადაწყვეტილება დაასახელეს. დანარჩენ შემთხვევებში უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს *Pfizer*-ის ვაქცინას.

ფოკუსჯგუფების თანახმად, COVID-19-ის ვაქცინებისადმი შიში მოსახლეობის ნაწილს გარკვეულწილად მოუხსნა ინფორმაციამ *Sinopharm*-ის ტრადიციული მეთოდით დამზადებაზე. განსაკუთრებით, სამედიცინო სფეროს უფროსი თაობა იჩენდა მაღალ ნდობას მის მიმართ. ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, დამოკიდებულებები განსხვავებულია: სომხურენოვან მოსახლეობაში ვაქცინაციის არჩევანი დიდწილად დამოკიდებულია ოჯახის განწყობებზე;

„მშობლები წინააღმდეგნი არიან და ჩვენც არ ვიცრებით“

მაშინ, როდესაც აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე ახალგაზრდებში ოჯახისა და რელიგიური ლიდერების გავლენა ნაკლებია.

„თქვენთან, ქართველებში, ეკლესიის გავლენა დიდია და ახალგაზრდებიც მორწმუნეები არიან, მრევლში არიან. ჩვენთან ასე არ არის. მოლებს არ აქვთ ასეთი გავლენა, სათემო ლიდერებს უფრო აქვთ“.

ფოკუსჯგუფებში გამოიკვეთა, რომ რეგულაციებიც ახდენს გავლენას ვაქცინაციასთან დაკავშირებულ არჩევანზე. კერძოდ, მონაწილეთა ნაწილი აიცრა 1 დეკემბრიდან შემოღებული შეზღუდვის გამო, რომელთა თანახმადაც, სოციალური თავშეყრის ადგილებში აიკრძალა შესვლა მწვანე პასპორტის გარეშე. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა ნაწილის არჩევანი

განაპირობა და დააჩქარა ინსტიტუტში სიარულის სურვილმა. რესპონდენტთა თანახმად, უფროსი ასაკის მოსახლეობაში ვაქცინაციას ხელი შეუწყო 200-ლარიანი დახმარების დაწესებამ.

ახალციხის რეგიონის ფოკუსჯგუფში კითხვაზე - „რამდენად სწრაფად მიიღეთ ვაქცინაციის გადაწყვეტილება და, ძირითადად, რამ მოგცათ ამის მოტივაცია?" - უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ვაქცინაციაში ხედავდა გამოსავალს და პანდემიის დასრულების შესაძლებლობას. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, სანამ მის მუნიციპალიტეტში (ახალციხე) შეიტანდნენ ვაქცინას, მეზობელ მუნიციპალიტეტში ჩავიდა ასაცრელად, რათა მაგალითი მიეცა მშობლებისა და მეგობრებისთვის.

კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკვლევი პოპულაციის არჩევანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანმიმდევრული და ინტერგირერებული საკომუნიკაციო ინტერვენციების ნაკლებობა. კითხვარის 342 რესპონდენტიდან მხოლოდ 97-მა დაასახელა მოტივატორად ხელმისაწვდომი ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები/სანდო წყაროები (მათგან ვაქცინირებულია 84). ვაქცინის ხარისხი მოტივატორი იყო მხოლოდ 30 პირისთვის, მაშინ, როდესაც 104 ადამიანი არ არის ვაქცინირებული, ძირითადად, დამაჯერებელი, სარწმუნო ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

საერთაშორისო გამოცდილება:

პანდემიამ მნიშვნელოვანი გაკვეთილები ასწავლა მსოფლიოს კრიზისების, კომუნიკაციისა და დეზინფორმაციის კუთხით და მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია მკვლევართა მიდგომებში, თუ როგორ სწავლობენ ისინი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს.

სოციოლოგებისთვის COVID-19-ის პანდემიამ შექმნა უნიკალური შესაძლებლობა - ბუნებრივი ექსპერიმენტი, რომელიც „მოიცავს ყველა კულტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფს", - ამბობს ანდრეას ოლსონი, სტოკჰოლმის კაროლინსკის ინსტიტუტის ფსიქოლოგი. ყველას ერთი და იგივე საფრთხე ემუქრება ჯანმრთელობისა და საარსებო წყაროს თვალსაზრისით, „ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია, დავინახოთ, როგორ განსხვავებულად რეაგირებენ ადამიანები კულტურის, სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდუალური განსხვავებების მიხედვით", - ამბობს ის. მაგალითად, მკვლევრებს მიეცათ შესაძლებლობა, შეედარებინათ ადამიანთა ქცევა ჯანდაცვის პოლიტიკაში განხორციელებულ ცვლილებებამდე და მათ შემდეგ, ან უფრო მარტივად შეესწავლათ ინფორმაციის ნაკადი და დეზინფორმაცია.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გაჩნდა მასობრივი კოლაბორაციის შესაძლებლობა: რამდენიმე ასეული მკვლევარი გაერთიანდა იმის დასადგენად, თუ როგორ შეუწყობს ხელს ქცევითი კვლევები COVID-19-ის საპასუხო ქმედებათა გაუმჯობესებას, როდესაც ადამიანები შეშინებულნი, შეთქმულების თეორიებითა და სკეპტიციზმით შეპყრობილნი და ინფორმაციისგან გადატვირთულნი არიან. მათ გამოყვეს ამ სფეროში განხორციელებული წინამორბედი კვლევებიც, რომლებსაც შეეძლოთ ჯანდაცვის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა. ჯერ კიდევ COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების შემუშავებამდე, ზოგადად ვაქცინაციის წასახალისებლად, დაიწყო ქცევითი მეცნიერების მიდგომების გამოყენება. ფილადელფიაში, პენსილვანიის უნივერსიტეტში, „ქცევის ცვლილების ინიციატივის" (*The Behavior Change For Good Initiative*) ფარგლებში დაიწყეს სტიმულების (nudges) გამოცდა, რომ გაეაქტიურებინათ გრიპის ვაქცინის მოხმარება. კეტრინ მილკმანმა, უნივერსიტეტის უორტონის სკოლის ქცევის მკვლევარმა და მისმა კოლეგებმა, დაახლოებით, 20 შეტყობინების სტრატეგია გამოსცადეს, დაწყებული ხუმრობით და დამთავრებული პირდაპირი მიმართვებით. „ჩვენ დავინახეთ, რომ ყველაფერი მუშაობს", - ამბობდა მილკმანი. მაგალითად, მათი თქმით, **ტექსტურმა შეტყობინებამ, რომელიც სამიზნე პოპულაციას ეუბნებოდა, რომ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა სპეციალურად მათთვის იყო გადანახული (საკუთრების შეგრძნება - sense of ownership), გაზარდა ვაქცინაციის მაჩვენებელი.**

მიგნებები თითქმის მაშინვე გამოიყენეს მკვლევრებმა, რომლებიც ცდილობდნენ, გაეზარდათ COVID-19-ის ვაქცინის გამოყენება. ლოსანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის (UCLA) მკვლევრებმა სტრატეგია UCLA-ის ჯანდაცვის სისტემაში დანერგეს 2021 წლის თებერვალ-მარტში და ის უაღრესად მასტიმულირებელი აღმოჩნდა COVID-19-ის ვაქცინაციისთვის.

მილკმანის იდეა დიდ ბრიტანეთშიც წარმატებით განახორციელეს, რათა ახალგაზრდა ქალები წაეხალისებინათ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის. სტივ მარტინმა (*Influence at Work*-ის აღმასრულებელი დირექტორი, ქცევის მეცნიერებათა კონსულტანტი ჰარპენდენში) და მისმა კოლეგამ, რებეკა შერინგტონმა (ჯერსის მთავრობის მთავარი საექთნო ოფიცრის თანაშემწე), თავიანთ ინტერვენციაში ჩართეს მილკმანის მიგნება, რომლის თანახმადაც, ვაქცინაზე მიმართვის ალბათობის გაზრდა შესაძლებელია სამიზნე ჯგუფში საკუთრების შეგრძნების აღძვრით (მაგ: ფრაზით, რომ „ვაქცინა გადანახულია მათთვის"). ამ მიდგომის გამოყენებით, სხვა იდეებთან ერთად (მაგ: შესაბამისიგამხმოვანებლის/მაცნეს შერჩევა), მარტინის ძალისხმევამ გაამართლა: ჯერსის კუნძულზე მზრუნველობის სახლის პერსონალის 93 პროცენტი აიცრა, სხვა იურისდიქციებში კი ამ მაჩვენებელმა, დაახლოებით, 80 პროცენტს მიაღწია.

თავდაჯერებულობა და გადაწყვეტილების სიმყარე [Certainty and Confidence)

ყოველ გადაწყვეტილებას ახლავს სხვადასხვა ხარისხის დარწმუნება და თავდაჯერება. თუმცა, ხშირად შემთხვევები გვიჩვენებს, თუ რამდენად ადვილია, ეჭვმა ან ყოყმანმა პოტენციურად ფესვი გაიდგას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კვლევა შეეცადა, გამოევლინა საკვლევი პოპულაციის დარწმუნებისა და თავდაჯერების ხარისხი ვაქცინაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას.
სასურველი ქცევის (ამ შემთხვევაში - ვაქცინაციის) გასამეორებლად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თავდაჯერებულობის ხარისხი ასეთ ქცევაზე მიღებული გადაწყვეტილების პროცესში.

ახალგაზრდების თავდაჯერებულობის ასპექტები ვაქცინაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას

ვაქცინაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას (აცრა ან მასზე უარის თქმა), თავდაჯერებულობა მონაწილეებს, ძირითადად, ადამიანურმა ფაქტორმა და სოციალურმა გარემოცვამ შემატა:

„ჩემი მეგობრები აიცრნენ და რომ ვნახე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მეც მომემატა თავდაჯერებულობა".

„ჩემი მშობლები სარისკო ჯგუფს მიეკუთვნებიან და არ მინდოდა, მათთვის რამე მიმეტანა, ამიტომ, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდა ვაქცინები, ავიცერი".

ახალგაზრდებმა, რომლებმაც ვირუსსა და ვაქცინაციაზე ინფორმაცია საერთაშორისო წყაროებიდან მოიძიეს, მეტი თავდაჯერებულობით მიიღეს აცრის გადაწყვეტილება. ამავე რესპონდენტთა თქმით, მართალია, ინფორმაცია ხელმისაწვდომია, თუმცა მისი აღქმა მარტივი არ არის: ერთი მხრივ, არსებობს ენობრივი ბარიერი, ვინაიდან, ძირითადად, ინფორმაცია ინგლისურ ენაზეა, მეორე

მხრივ კი ის რთული ენით წერია და, თუ მედიცინაში ვერ ერკვევი, რთულია აღქმა; ეს მაშინ, როდესაც ყალბი ინფორმაციები (*fake news*) მარტივი და გასაგები ენით იწერება და ხალხზე მოქმედებს. ამ კუთხით, განსაკუთრებით დიდია გამოწვევა რეგიონებისა და სოფლად მაცხოვრებელ მოსახლეობაში, თუმცა რიგ შემთხვევებში ისევ და ისევ ადამიანურმა ფაქტორმა იმუშავა. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა თქმით, მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებმა შედეგი გამოიღო.

„ამ ფონზე, პირისპირ შეხვედრებმა კარგად იმუშავა, სკოლის მასწავლებლები აიცრნენ მას შემდეგ, რაც ბიძინა კულუმბეგოვი ჩამოვიდა და მათ ესაუბრა".

„მედდის გარდაცვალებამ და შემდეგ ამ შემთხვევის გაშუქებამ ყველას თავდაჯერებულობა შეარყია და, საერთოდ, ვაქნაციის პროცესი დააზარალა. გამოვიდა, რომ ადამიანი ვაქცინამ მოკლა".

კითხვარის რესპონდენტთა 32,5 პროცენტი აღნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში (აცრა/მასზე უარი თქმა) გადაწყვეტილების მიღებისას თავდაჯერებულობა მტკიცებულებათა არსებობამ შემატა, ხოლო 29,5 პროცენტი პასუხად ადამიანურ ფაქტორს ასახელებს.

საერთაშორისო გამოცდილება:

აცრების მიმართ დადებითი დამოკიდებულება ხელს უწყობს COVID-19-ის პრევენციას და გავლენას ახდენს ვაქცინაციის მიმღებლობაზე. 19 ქვეყანაში რესპონდენტთა 71,5 პროცენტმა განაცხადა თანხმობა აცრაზე, თუკი დადასტურდებოდა ვაქცინის უსაფრთხოობა და ეფექტიანობა. ამავე გამოკითხვით, გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები, რომლებმაც უფრო მაღალი ნდობა გამოუცხადეს სამთავრობო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, მეტი ალბათობით მიმართავდნენ ვაქცინაციას და ითვალისწინებდნენ დამსაქმებლის რჩევებს (https://www.nature.com/articles/s41591-020-1124-9).
შესაბამისი ორგანოები უნდა ფოკუსირდნენ ისეთ კამპანიებზე, რომლებიც შეამცირებს COVID-19-ის ვაქცინასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციასა და შეთქმულების თეორიებს. დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამები და მათი დანერგვა ყველა, მათ შორის, ინდივიდუალურ დონეზე.

თავდაჯერებული გადაწყვეტილების მისაღებად, არსებითია **ხელმისაწვდომი ვაქცინების მიმართ დამოკიდებულებაც**. კითხვარის რესპონდენტთა 65,8 პროცენტი უპირატესობას *Pfizer*-ის ვაქცინას ანიჭებს, თუმცა ფოკუსჯგუფების მონაწილეთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ *Sinofarm*-ის ვაქცინა არჩია, ტრადიციული მეთოდით შემუშავების გამო. მათ შორის იყვნენ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებიც.

კითხვარის რესპონდენტთაგან, რომელთაც თავდაჯერებულობა მტკიცებულებათა არსებობამ შემატა, უმრავლესობა ვაქცინირებულია. თითქმის 15 პროცენტს კი ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, რის მიზეზადაც ყველაზე ხშირად სახელდება სანდო ინფორმაციის ნაკლებობა, ვაქცინის შესაძლო გვერდითი მოვლენები, ვაქცინის სწრაფად შექმნა და ჯანმრთელობის არსებული პრობლემები.

მშობელთა ფოკუსჯგუფში აღინიშნა, რომ მოტივაცია და თავდაჯერებულობა მოძიებული ინფორმაციით შეემატათ:

„პანდემია რომ დაიწყო, დავიწყე სხვა პანდემიების შესახებ კითხვა და ყველგან ეწერა, რომ პანდემია არ დასრულდა, სანამ არ შემოვიდა ვაქცინა“.

თავდაჯერებულობა მონაწილეებს საკუთარმა გამოცდილებამაც გაუმყარა:

„ისრაელში წავედი ერთი თვით და ანტიგენის ტესტები რომ გავიკეთე, ანტისხეულები საკმაოდ დიდი რაოდენობით მქონდა და ამან კიდევ უფრო შემმატა თავდაჯერებულობა, რომ მესამედაც სინოფარმით ავცრილიყავი. ისრაელში რომ ჩავედი, მოსახლეობის 80 პროცენტი პფაიზერით იყო აცრილი და ამან გამაბედვინა ის, რომ ჩემი შვილები პფაიზერით ავცერი, 14 და 16 წლისები“.

რეგიონის ფოკუსჯგუფის თანახმად, **ვაქცინაცია განსაკუთრებული გამოწვევაა სოფლებში** (ეროვნული უმცირესობებით იქნება დასახლებული, თუ ქართველებით), ვინაიდან იქ განათლების და შესაბამისად ინფორმაციის აღქმის სერიოზული პრობლემები არსებობს.
200-ლარიანი ვაუჩერების შემოღებამ გარკვეული გავლენა მოახდინა სოფლის მოსახლეობაზე - ბუსტერულ დოზაზე მისულ რეგიონის ჯგუფის მონაწილეებს პენსიონრები დახვდნენ. ამ ჯგუფში ასევე აღინიშნა, რომ სომხურენოვანი მოსახლეობა განსაკუთრებით უარყოფითად

არის განწყობილი აცრის მიმართ, ვინაიდან არ აქვთ ინფორმაცია ამ საკითხებზე. ერთ-ერთმა მონაწილემ გაიხსენა, რომ მასთან ერთად აცრილ ორ სასულიერო პირთან (ერთი მართლმადიდებელი იყო და ერთი - კათოლიკე) ფოტო გადაიღო და ხალხს აჩვენებდა მოტივაციის შესაქმნელად, თუმცა უმეტესობა მაინც ვერ დაარწმუნა.
მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ ადამიანთა მოტივაციაზე დიდი გავლენა აქვს ეკლესიისა და სასულიერო პირების პოზიციასაც.

„ჩემი მეგობრის მშობლები იმიტომ არ აიცრნენ, რომ ჩვენმა მამამ ნებართვა არ მოგვცა“.

მონაწილეთა თანახმად, პატრიარქის ვაქცინაციას უდიდესი გავლენა ექნებოდა და ბევრ რამეს შეცვლიდა.

საერთაშორისო გამოცდილება:

საზოგადოებაში ვაქცინათა მიმართ ნდობის გაზრდა მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა იმუნიზაციის პროგრამების წარმატებულად განხორციელებისათვის. საბოლოო ჯამში, ეს რისკის ქვეშ აყენებს დაავადებათა პრევენციას და ხელს უწყობს იმ ინფექციების აფეთქებას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელია ვაქცინებით. 2019 წელს აცრების მიმართ ნდობის ნაკლებობა გლობალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის 10 ყველაზე დიდ საფრთხეს შორის დაასახელა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ.

2021 წელს ჯგუფმა SAGE-მა ჩაატარა კვლევა, რომელსაც უნდა შეესწავლა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებისადმი ნდობის წინაპირობები ინდოეთის 4 მეგაპოლისში. ტერმინს „ვაქცინების მიმართ უნდობლობა“ (vaccine hesitancy) ჯგუფი განსაზღვრავს, როგორც გადავადებულ მიმღებლობას, ან ვაქცინაციაზე უარს, სერვისის ხელმისაწვდომობის მიუხედავად. ვაქცინების მიმართ უნდობლობა კომპლექსური ქცევაა, რომელიც დამოკიდებულია კონტექსტზე და განსხვავდება დროის, ადგილის, ადამიანებისა და თავად ვაქცინის მიხედვით. ეს არის გადაწყვეტილებათა მთელი სპექტრი, კერძოდ: ადამიანს შეუძლია, თავდაჯერებულად გამოხატოს ვაქცინაციის მიმღებლობა, დარწმუნდეს ან არ დარწმუნდეს აცრის აუცილებლობაში, გადაავადოს ვაქცინაცია, უარი თქვას მასზე, ან ყოყმანობდეს რამის გადაწყვეტას. დაცვის მოტივაციური თეორია ეყრდნობა საფრთხის შეფასებას (ჯანმრთელობის საფრთხის სიმძიმე/ინდივიდუალური დაუცველობა) და მისი დაძლევის შეფასებას (აღქმული თვითეფექტიანობა). SOGI ჯგუფმა, დეტერმინანტთა „3Cs“ მოდელის მეშვეობით (თავდაჯერებულობა, თვითკმაყოფილება და ხელმისაწვდომობა/confidence, complacency and convenience), მკაფიოდ გამოხატა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ვაქცინაციისადმი ნდობაზე.

მონაცემთა „3Cs“ მოდელის პრიზმიდან გაანალიზებით, შესაძლებელი ხდება ვაქცინაციის ძირითადი ბარიერების განსაზღვრა მიზნობრივ ჯგუფებში და საპასუხოდ ქცევითი ინტერვენციების გამოყენება.

თავდაჯერებულობის ბარიერები (Confidence barriers)

- რამდენად უსაფრთხოა ვაქცინა?
- რამდენად ეფექტიანია ვაქცინა?
- ვაქცინების მომწოდებელი სისტემები და ადამიანები სანდონი და კომპეტენტურნი არიან?
- რამდენად სანდოა პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთა და ჯანდაცვის ეროვნული სისტემის (მისი წარმომადგენლების) მოტივაცია?

თვითკმაყოფილების ბარიერები (Complacency barriers)

- რამდენად მაღალია COVID-19-ის ვირუსით დაინფიცირების რისკი?
- COVID-19-ის ვირუსით დაინფიცირება უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანებსა და მათ ახლობლებზე?

ხელსაყრელობის ბარიერები (Convenience barriers)

- ფიზიკურად შეუძლიათ აცრა?
- აქვთ ვაქცინაციის საშუალება?
- ისეთ რეგიონსა და თემში ცხოვრობენ, სადაც შესაძლებელია ვაქცინაცია?
- შეუძლიათ ვაქცინაციის მიზნის გაცნობიერება (აქვთ საკმარისი სამედიცინო განათლება და ენის ცოდნა)?
- ვაქცინაციის სერვისი შესაბამისი ხარისხით მიეწოდება?
- ვაქცინაციის დრო და ადგილი შესაფერისია?
- სამიზნე ჯგუფის კულტურული კონტექსტი ხელს უწყობს ვაქცინაციას?

კვლევის შედეგები „3Cs“ მოდელის პრიზმიდან რომ შევაფასოთ, ახალგაზრდებში ვაქცინაციის პროცესზე ყველაზე დიდ გავლენას სწორედ თავდაჯერებულობის ბარიერები (Confidence barriers) ახდენს:

ვაქცინების უსაფრთხოება და ეფექტიანობა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მათ ვაქცინების უსაფრთხოება და ეფექტიანობა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მათ შორის, ვაქცინირებულ საკვლევ პოპულაციაშიც. გამოწვევად რჩება ნდობა ვაქცინების მომწოდებელი სისტემისა და ადამიანების მიმართ და დარწმუნება მათ კომპეტენტურობაში. პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთა და ჯანდაცვის ეროვნული სისტემის წარმომადგენელთა მოტივაცია ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა: ერთი მხრივ, ვაქცინირებულ ადამიანებში უკმაყოფილებას იწვევს არათანმიმდევრული მიდგომები, რომლებმაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ქცევის განმეორებითობის მიზანშეწონილობა (ვაქცინაცია), ხოლო მეორე მხრივ, არათანმიმდევრული და ცვალებადი პოლიტიკა კიდევ უფრო ამყარებს არავაქცინირებული საკვლევი პოპულაციის უნდობლობას სისტემის მიმართ.

თვითკმაყოფილების ბარიერები (Complacency barriers) გამოწვევად რჩება სოფლის მოსახლეობასა და ეროვნულ უმცირესობებში. ინფორმაციის ნაკლებობა ამ სამიზნე პოპულაციაში მყარ საფუძველს ქმნის მითების გასავრცელებლად. შესაბამისად, ისინი ვერც COVID-19-ით დაინფიცირების რისკს აცნობიერებენ და ვერც ვირუსის შესაძლო უარყოფით გავლენას დაინფიცირების შემთხვევაში.

ხელმისაწვდომობის ბარიერებიდან (Convenience barriers) ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ვაქცინაციის მიზნის გაცნობიერება, რასაც, საკვლევი პოპულაციის თქმით, ხელს უწყობს დაბალი სამედიცინო წიგნიერება და ენობრივი ბარიერები. საკომუნიკაციო სტრატეგიებში კვლავაც არასათანადოდ არის გათვალისწინებული სამიზნე პოპულაციის კულტურული კონტექსტი.

დაბალანსებული ინფორმაცია (Information balance)

საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცნობიერების ამაღლება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია დაავადებებთან, დანაშაულებსა და სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლაში. მნიშვნელოვანია, თუ რა ინფორმაცია მიეწოდება ცნობიერების ასამაღლებლად, როგორ, რა სახით და რა ოდენობით. ადამიანები ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში სწორი ინფორმაციის მიღება/მოპოვება სწორი რაოდენობით, სწორი წყაროებიდან და სწორ დროს, მათ შორის, ვაქცინაციის შესახებ. თუმცა, ინფორმაციის ამ იდეალურ ბალანსზე ყველას თავისი წარმოდგენა აქვს. კვლევა სწორედ ამ საკითხის დადგენას შეეცადა საკვლევი პოპულაციის პერსპექტივიდან.

ყველაზე ხშირად გამოყენებული საინფორმაციო არხები

ფოკუსჯგუფებშიც და კითხვარის რესპონდენტთა 36,3 პროცენტშიც აღინიშნა, რომ **საინფორმაციო არხებს შორის ყველაზე ხშირად სოციალური მედია** გამოიყენება (მათ შორის, ვაქცინაციაზე ინფორმირების თვალსაზრისით). ამავე კონტექსტში, მეორე ადგილზე დგას პირადი საუბრები (15,5 პროცენტი), შემდეგ - სოციალური აპლიკაციები (14 პროცენტი) (*Facebook, Twitter, Pinterest, Instagram* და ა.შ.) და ბოლოს - ტელევიზია (10,8 პროცენტი).

ახალგაზრდები, რომლებიც სამედიცინო ფაკულტეტებზე სწავლობენ, ან/და ინგლისურ ენას ფლობენ, ვაქცინაციაზე ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდებსა (WHO, FDA) და Google-საც. ისინი ეცნობოდნენ საერთაშორისო სტატისტიკას და პანდემიის მიმდინარეობას სხვადასხვა ქვეყანაში, რამაც, მათი თქმით, გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაზე. ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ინფორმაციის მისაღებად იყენებდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ვებგვერდსაც.

იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, რომლებიც საინფორმაციო არხებიდან უპირატესობას სოციალურ მედიას ანიჭებენ, ვაქცინირებულია.

იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც პირადი საუბრები ან ტელევიზია ურჩევნიათ, თითქმის ნახევარი არ არის ვაქცინირებული.

არავაქცინირებული ახალგაზრდები მათთვის პრიორიტეტულ საინფორმაციო არხებს შორის ასევე ასახელებენ:

კვალიფიცირებულ ექიმებს -
„მათ კი თქვეს, რო ვაქცინისა და აცრის გატესტვას სჭირდება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, ეს პერიოდი კი ამ ვაქცინებს არ გაუვლიათ“.

სოციალურ მედიას -
„იმიტომ, რომ ტელევიზიები არ აშუქებენ მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას“; ასევე, „არ აშუქებენ არცერთ ანტივაქსერულ გამოსვლას. ეს კიდევ დიდ ეჭვს მიჩენს და, ამავდროულად, მიმყარებს ჩემს არგუმენტებს ვაქცინაციასთან დაკავშირებით“.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშიც ყველაზე ხშირად ინფორმაციის მისაღებად სოციალური მედია გამოიყენება, თუმცა არა ქართული. სომხურენოვანი მოსახლეობა, ძირითადად, სომხურ და რუსულ სოციალურ მედიას იყენებს, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა აზერბაიჯანულ,

ირანულ და თურქულ მედიას მიმართავს. ორივე შემთხვევაში, მედია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ დამოკიდებულებებსა და განწყობებზე. მაგალითად, ირანში ვაქცინაციის კუთხით გატარებულმა მკაცრმა ზომებმა აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის ნაწილს უბიძგა, მიემართა ვაქცინაციისთვის; სომხურ და რუსულ სოციალურ მედიაში გადაჭარბებული სკეპტიციზმი ვაქცინაციის მიმართ გავლენას ახდენს ახალციხის სომხურენოვან მოსახლეობაზე და ვაქცინაციისადმი მათი მიმართვიანობა დაბალია.

მშობლების ფოკუსჯგუფებში უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ინფორმაციის მისაღებად (მათ შორის, COVID-19-სა და ვაქცინაციაზე), ყველაზე ხშირად *Facebook*-ს იყენებენ, რადგან ამ ქსელში წარმოდგენილია მათთვის საინტერესო ყველა საინფორმაციო წყარო და, უფრო ვრცელი ცნობების მისაღებად, შეუძლიათ შესაბამის ბმულებზე გადასვლა. თბილისის ფოკუსჯგუფის მონაწილეთა თანახმად, ვაქცინაციაზე ინფორმაცია უხვად ვრცელდებოდა, მათ შორის, „ფორმულას“ და „რადიო თავისუფლების“ პოსტებით. ასევე არ ტოვებდნენ ძირითად ინფორმატორთა განცხადებებს, როგორებიც არიან: ბიძინა კულუმბეგოვი, ზურაბ გურული, ამირან გამყრელიძე, ნანა გეგეჭკორი და თამარ ჟამურაშვილი. რეგიონის ჯგუფში აღინიშნა, რომ ძირითადი საინფორმაციო წყარო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან (სოფლის მოსახლეობა), არის ტელევიზია, შემდეგ კი - *Facebook:*

„ამ სოფლთად მაცხოვრებელი ადამიანებისთვის ძირითადი მოტივატორი პირადი მაგალითებია, ბუკლეტის წამკითხავი არავინაა“.

დაბალანსებული ინფორმაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე, რომელიც მონაწილეებს დაეხმარებოდა გადაწყვეტილების მიღებაში

ვაქცინაციასთან დაკავშირებული **დაბალანსებული ინფორმაცია** ფოკუსჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობისთვის ნიშნავს თანმიმდევრულ და არგუმენტირებულ ინფორმაციას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენების შესახებ. კითხვაზე, თუ რამდენად დაბალანსებულია ქართული საინფორმაციო სივრცე და ის არხები, რომლებსაც მონაწილეები ინფორმაციის წყაროდ იყენებენ, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მალევე მოხდა საკითხის პოლიტიზება.

პანდემიაც და ვაქცინაციაც პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთ თემად იქცა. შესაბამისად, საინფორმაციო არხების განწყობებიც მრავალფეროვანია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე, გადაწყვეტილებებზე და, რაც მთავარია, ნდობაზე.

მშობელთა ფოკუსჯგუფში აღინიშნა, რომ ინფორმაცია დაბალანსებულია მაშინ, როდესაც არ გაშინებს და ადეკვატურ ცნობებს გაწვდის გასაგებ ენაზე, ნაკლები სამედიცინო ტერმინის გამოყენებით:

„სამედიცინო ტერმინების რახარუხით ინფორმაციის მიწოდება დანაშაულია და ამას შემდეგ მოჰყვება ხოლმე გაუთავებელი მითები“.

ფოკუსჯგუფების მონაწილეთა აზრით, დაბალანსებული ინფორმაცია ვაქცინაციასა თუ COVID-19-ზე უნდა მოიცავდეს ორივე ტიპის ცნობებს - „კარგი რაც არის და ცუდიც რაც არის, გასაგებ ენაზე“. თბილისის ფოკუსჯგუფის თანახმად, არ გამართულად

საკმარისი დებატები ექიმებსა და ვაქცინაციის მოწინააღმდეგე ადამიანებს შორის (მათ მხოლოდ ერთი შემთხვევა გაიხსენეს ტელეარხ „იმედზე“). მონაწილეთა აზრით, საინფორმაციო გამოშვებები ინფორმაციის ნაკლებობას ვერ შეავსებს - ეს ფორმატი, დაბალანსებულ ინფორმაციას ვერ მოგვაწვდის, რადგან უფრო სენსაციაზეა ორიენტირებული:

„მაგალითად, ერთი არხი ამბობს, რომ კოვიდით გარდაიცვალა 26 წლის გოგო, შემდეგ სხვა არხზე გადართავ და იქ იგებ, რომ მას რაღაც ქრონიკული დაავადებები ჰქონდა და გართულების მიზეზი ეს იყო. დაბალანსებული ინფორმაციაა, როდესაც გაწვდიან მშრალ, ამომწურავ ინფორმაციას. დღესაც არ უთქვამთ ბოლომდე, რა მოხდა იმ მედდის შემთხვევაში“.

ფოკუსჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა **ინტენსიური კომუნიკაციის** აუცილებლობაზე საუბრობს. წარმატებულ მაგალითად დასახელდა ბიძინა კულუმბეგოვის პირისპირ კომუნიკაციები:

„ფაქტია, კულუმბეგოვის შეხვედრები მოსახლეობასთან საჭიროა, მსგავსი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, თუმცა მთელ საქართველოს ერთი ადამიანი ვერ მოციავს, მაგრამ ძალიან საჭიროა“.

საფრთხის შემცველ საკომუნიკაციო არხად კვლავ რჩება სამედიცინო პერსონალი. გარდა იმისა, რომ ბევრი ექიმი დღემდე არ იცრება, მათ „აგდებული“ დამოკიდებულება აქვთ უშუალოდ ვაქცინების მიმართ.

„ასტრაზენეკათი აცრილ მშობლებს დაემართათ კოვიდი და სასწრაფოს ექიმები ხუმრობდნენ, აგერ, ნახე, აცრილს დაემართა და ილაპარაკე ახლა შენ აცრებზეო“.

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა არაერთი მაგალითი გაიხსენეს, როდესაც ექიმებს დასარწმუნებლად საკუთარი მაგალითი მოჰყავთ: „მე ექიმი ვარ და არ ვიცრები და...“ მსგავსი დამოკიდებულების გავლენა გაცილებით მაღალია სოფლის მოსახლეობაში - „სოფლის ექიმი თუ არ იცრება, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ მთელი სოფელი არ იცრება“, - აღნიშნეს რეგიონის ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა.

საერთაშორისო გამოცდილება:

2021 წელს გაერთიანებულ სამეფოში, კემბრიჯის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კვლევის ეთიკის კომიტეტის ეთიკური ზედამხედველობის ქვეშ, ჩატარდა ორი დიდი, წინასწარ რეგისტრირებული

ექსპერიმენტული კვლევა. ამ კვლევებს უნდა დაედგინა, თუ რა გავლენა ჰქონდა ინფორმაციის გამჭვირვალედ მიწოდებას გადაწყვეტილების მიღებაზე COVID-19 -ის საწინააღმდეგო ვაქცინის ეფექტიანობის შესახებ, კერძოდ:

პირველ კვლევას უნდა შეესწავლა, რა გავლენას ახდენდა ინდივიდთა გადაწყვეტილებაზე ამომწურავი ინფორმაციის გაცნობა უახლესი კვლევების შესახებ.

მეორე კვლევას კი უნდა დაედგინა, მცირდებოდა თუ არა ვაქცინის ეფექტიანობის აღქმა და ვაქცინაციის სურვილი, თუკი აცრის შემდეგ ადამიანებს დამცავი ქცევის (მაგ: დისტანციის დაცვა, პირბადის ტარება) შენარჩუნებაზე მიუთითებდნენ.

ამ კვლევაში გამოყენებული 6 შეტყობინება მოდელირებული იყო ხელმისაწვდომ საჯარო კომუნიკაციებზე დაყრდნობით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია საინფორმაციო გვერდები ვებსაიტიდან *Public Health England*, ასევე, დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის ეროვნული სამსახურისა (NHS) და *Public Health England*-ის ტვიტერის ანგარიშები. კვლევის ფარგლებში შემუშავდა 3 სახის გზავნილი: გაფრთხილების გარეშე, საშუალო გაფრთხილებით და მაღალი გაფრთხილებით.
გზავნილები გაფრთხილების გარეშე ხაზს უსვამდა ვაქცინათა ეფექტიანობასა და უსაფრთხოებას, მაგრამ არ მიუთითებდა დამცავი ზომების გაგრძელებაზე ვაქცინაციის შემდეგ;
საშუალო გაფრთხილების გზავნილი ამბობდა, რომ ვაქცინები ზოგადად უსაფრთხო და ეფექტიანია, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს გაურკვევლობა და საჭიროა დამცავი ქცევის შენარჩუნება ვაქცინაციის შემდეგ;
მაღალი გაფრთხილების გზავნილები აღნიშნავდა, რომ ვაქცინის ეფექტიანობა ბოლომდე დადგენილი არ არის, ამიტომ საჭიროა დამცავი ქცევის შენარჩუნება ვაქცინაციის შემდეგ.
თითოეული სახის გზავნილისთვის შეიქმნა მოკლე და ვრცელი ვერსია. მოკლე ვერსია მოიცავდა 2-3 წინადადებას, სოციალური მედიის პოსტის სახით, ხოლო ვრცელი ვერსია ასახავდა, თუ რისი მოძებნა შეიძლებოდა ვებგვერდზე.
ორივე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანთა გამჭვირვალე ინფორმირება ვაქცინაციის შეზღუდვებზე არ ამცირებს ვაქცინაციის განზრახვას.

კვლევამ აღმოაჩინა, რომ დიდ ბრიტანეთში გზავნილებმა COVID-19-ის ვაქცინათა ცნობილი რისკებისა და სარგებლის შესახებ (სხვადასხვა დონის დეტალიზაციით) მცირე გავლენა მოახდინა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ განზრახვებზე, ასევე, შეხედულებებზე COVID-19-ის ვაქცინების მიმართ. თუმცა, ზოგიერთმა გზავნილმა დადასტურებულად გაზარდა რისკისა და სარგებლის აღქმა. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ ვაქცინაციის შემდეგ დამცავი ქცევის შენარჩუნებაზე ხაზგასმა არ უქმნის რისკს ვაქცინაციის მიმართვიანობას, ან ეფექტიანობის აღქმას. ეს შედეგები მიუთითებს, რომ გამჭვირვალე კომუნიკაციას არ აქვს არსებითი გავლენა ვაქცინაციის მიმართვიანობაზე, თუმცა, ვისაც სურს ამ პროცესის გააქტიურება, რისკებსა და სარგებელზე კომუნიკაციასთან ერთად, უნდა გამოიყენოს მთელი რიგი სხვა სტრატეგიებიც.

საერთაშორისო კვლევების შედეგები საგულისხმოა ისეთ ჭრილში, როგორიცაა დაბალანსებული ინფორმაციის აღქმა წინამდებარე საკვლევი პოპულაციის მიერ და მისი მოლოდინები. დაბალანსებული ინფორმაციის დახასიათებისას, რესპონდენტთა უმრავლესობა სწორედ გამჭვირვალე კომუნიკაციის საჭიროებაზე საუბრობს, ხოლო ბრიტანეთის მაგალითი ცხადყოფს, რომ ღია კომუნიკაცია ვაქცინაციასთან დაკავშირებულ რისკებსა და ეფექტიანობაზე, მათ შორის, კვლევებით გამყარებულ გვერდით ეფექტებზე, არ ამცირებს ვაქცინირების განზრახვას. მეტიც, გამჭვირვალე კომუნიკაცია ზრდის ნდობასა და სარგებლის აღქმას, რაც, როგორც კვლევით გამოიკვეთა, რეალური გამოწვევაა საქართველოში ახალგაზრდების ვაქცინირებისათვის.

ნდობა და მაცნე (Trust and Messenger)

ნდობა კრიტიკულ როლს ასრულებს კომუნიკაციაში ვაქცინაციის შესახებ, ამიტომ, ის ხშირი განხილვის საგანია. ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალთა კომპეტენცია და ცოდნა, როგორც წესი, ამ კუთხით მნიშვნელოვან ფაქტორებად სახელდება. თუ ეს ნდობა რაიმე მიზეზით ირღვევა, მისი გამოსწორება უმეტესწილად შეუძლებელია. რიგ შემთხვევებში, თანასწორ-განმანათლებლებთან კომუნიკაცია მეტი ემოციური გავლენით გამოირჩევა, უფრო ძლიერია და საზოგადოებაზე ორიენტირებული. კვლევამ დაადგინა, თუ ვის და რას ენდობა საკვლევი პოპულაცია და ვის აღიქვამს ინფორმაციის ისეთ მაცნედ, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს მათ გადაწყვეტილებაზე (მათ შორის, ვაქცინაციასთან დაკავშირებით).

ინფორმაციის სანდოობა, ასევე, ნდობა მისი მიმწოდებლის მიმართ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა გადაწყვეტილებასა და ქცევაზე.

სანდო საინფორმაციო წყარო[ები] COVID-19-ის ვაქცინაციაზე ინფორმაციის მისაღებად

ასეთ წყაროებს შორის კვლავ პირველ ადგილზეა სოციალური მედია, შემდეგ - სოციალური წრე, სოციალური აპლიკაციები და ტელევიზია.

იმ ახალგაზრდებში, რომლებიც საინფორმაციო წყაროთა სანდოობას ჩამოთვლილი თანმიმდევრობით განსაზღვრავენ (სოციალური მედია, სოციალური წრე, სოციალური აპლიკაციები და ბოლოს - ტელევიზია), ვაქცინაციის თვალსაზრისით, მდგომარეობა თითქმის ერთნაირია: მათგან, ვინც ყველაზე მეტად სოციალურ მედიას, სოციალურ წრეს, ან ტელევიზიას ენდობა, თითქმის მესამედი არ არის ვაქცინირებული, ხოლო სოციალური აპლიკაციებს მხარდამჭერთაგან ვაქცინა არ გაუკეთებია ნახევარს.

საკვლევი პოპულაციის აზრით, **ობიექტურ ინფორმაციას** მეტ-ნაკლებად ეს წყაროები ავრცელებენ, თუმცა ეს ინფორმაცია არ არის სათანადოდ დაბალანსებული. ხშირად ვრცელდება გადაუმოწმებელი ცნობებიც, მათ შორის,

ე.წ. ყალბი ინფორმაცია, რომლის მიზანია ემოციური გავლენის მოხდენა ადამიანებზე.

„ქვეყანაში სადაც განათლებისა და კრიტიკული აზროვნების სერიოზული პრობლემაა, მსგავსი ინფორმაციების ატაცება მარტივად ხდება“.

აღინიშნა, რომ **სანდო წყაროებისა და ინფორმაციის მომწოდებელთა არათანმიმდევრული მიდგომები** ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნდობაზე ვაქცინაციის მიმართ.

„გვეუბნებიან, რომ ვაქცინა გართულებებისგან გვიცავს. ბევრი შემთხვევა ვიცით, როდესაც გართულდა და აცრილებიც გარდაიცვალნენ“.

„ჩვენ მოგვიწოდებდნენ, თავი შეგვეკავებინა თავშეყრებისგან და მერე ვრცელდებოდა ინფორმაცია და ფოტოები სუფრებიდან, სადაც თვითონ პირბადის გარეშე იყვნენ“.

„თავიდან ითქვა, რომ ვაქცინა დაგვიცავს ვირუსისგან, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვირუსი აცრილებსაც ემართებათ“.

საკვლევი პოპულაციის უმრავლესობა სახელმწიფოს არათანმიმდევრულ მიდგომად მიიჩნევს პოლიტიკურ აქციებსაც. მონაწილეთა თანახმად, საჯარო პირთა აცრის სტატუსის ბუნდოვანება ასევე ეჭვებს აღძრავს და არყევს ნდობას.
საკვლევი პოპულაცია საუბრობს უსამართლობის შეგრძნებაზეც, რაც არანაკლებ გავლენას ახდენს მათ ნდობაზე.

„როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი ყველა წესს იცავს, სახლშია, ხოლო მეორე ნაწილი ქუჩაში თავისუფლად დასეირნობს, არც ჯარიმები ეკისრებათ და არც არავითარი ზომები არ მოჰყვება მათ ქცევას, უნდობლობის შეგრძნება ჩნდება და ფიქრობ, რომ გატყუებენ“.

საერთაშორისო გამოცდილება:

გერმანიის მოსახლეობისთვის სანდო და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მისაწოდებლად, 2020 წელს შეიქმნა ინიციატივა *COVID-19 Snapshot Monitoring* (COSMO). ყოველ კვირას სხვადასხვა ასაკისა და სქესის 1000 მონაწილე სხვადასხვა ფედერალური ერთეულიდან მონაწილეობდა 15-წუთიან ონლაინგამოკითხვაში. ინიციატივის მიზანი იყო, მთავრობას, ჟურნალისტებსა და ჯანდაცვის ორგანიზაციებს ჰქონოდათ ინფორმაცია მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, განესაზღვრათ ადეკვატური ქმედებები,

ეპასუხათ დეზინფორმაციაზე და წაეხალისებინათ ქცევის ცვლილება (შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიების, პოლიტიკისა თუ შეზღუდვების მეშვეობით).
კვლევის პირველი ორი ტალღის დროს (2020 წლის 3–4 მარტი და 2020 წლის 10–11 მარტი) განისაზღვრა შემდეგი მიგნებები: მაღალი ინფორმირებულობის მიუხედავად, მოსახლეობაში ძალიან დაბალი იყო უსაფრთხო ქცევის დონე, ასევე, რისკის აღქმა; თუმცა მაღალი იყო მზაობა ისეთი კუთხით, როგორიცაა ყოველდღიური ცხოვრების შეზღუდვა, ვირუსის მრუდის გასწორება და ჯანდაცვის სისტემაზე ტვირთის შემცირება. ყოველდღიური ცხოვრების შეზღუდვის სურვილი კიდევ უფრო იზრდებოდა, როცა საქმე ეხებოდა სხვა მოწყვლად ადამიანთა დაცვას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი გზავნილი აღმოჩნდა. სოციალური ნორმის კომუნიკაცია ჯანდაცვის სფეროში კომუნიკაციის მთავარი სტრატეგიაა. კვლევამ დაუშვა, რომ ასეთმა მონაცემებმა შეიძლება გააუმჯობესოს ეპიდემიაზე რეაგირება, კერძოდ, თუ გვეცოდინება, რომ ადამიანთა უდიდესი ნაწილი თავს იზღუდავს სხვების დასაცავად, ეს აგვარიდებს რთულ კითხვას: „მე ვარ ერთადერთი სულელი, ვინც ამას აკეთებს?“ მსგავსი მიდგომები ხელს უწყობს საჭირო სოლიდარობას ისეთ დროს, როდესაც შეიძლება ყველას აწუხებდეს კრიზისის თანმდევი გვერდითი მოვლენები, მათ შორის, ისეთიც, რომლებიც შეიძლება არ უკავშირდება ჯანმრთელობას.
აღსანიშნავია, რომ პანდემიასთან დაკავშირებული ეროვნული საპასუხო ქმედებების შემუშავებისას, მნიშვნელოვანი საკითხია ქცევითი მეცნიერების გამოყენება. ამ პროცესის ხელშესაწყობად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ბიურომ COSMO-ს პროტოკოლი და კითხვარი მოარგო შექმნილ ვითარებას და დღეს ბიურო წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს მხარდაჭერას მსგავსი მონაცემების შეგროვებაში.
ქართულ სინამდვილეში სოციალური ნორმის კომუნიკაციის საუკეთესო მაგალითი იყო კამპანია „მე გზას ვუთმობ სასწრაფოს“, რომელსაც რეალური, ხელშესახები შედეგი მოჰყვა. პანდემიის კონტექსტში კი კარგი მაგალითი იყო კამპანია: „მე ვრჩები სახლში“. კერძოდ, ეპიდემიის საწყის ეტაპზე ცნობილი სახეები მოუწოდებდნენ მოსახლეობას, მიებაძათ მათთვის და შინ დარჩენილიყვნენ. *Facebook*-ში შეიქმნა ანალოგიური დასახელების ჯგუფები, რომელთა წევრებიც ამხნევებდნენ ერთმანეთს და უწონებდნენ პასუხისმგებლიან ქცევას. თუმცა, ასეთი კომუნიკაციის ეფექტიანობა მყისიერად იკარგება, როცა სოციალური ნორმის გამხმოვანებლები
(გავლენიანი პირები) თვითონ აღარ იცავენ მას.

კვლევამ აღმოაჩინა, რომ დიდ ბრიტანეთში გზავნილებმა COVID-19-ის ვაქცინათა ცნობილი რისკებისა და სარგებლის შესახებ (სხვადასხვა დონის დეტალიზაციით) მცირე გავლენა მოახდინა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ განზრახვებზე, ასევე, შეხედულებებზე COVID-19-ის ვაქცინების მიმართ. თუმცა, ზოგიერთმა გზავნილმა დადასტურებულად გაზარდა რისკისა და სარგებლის აღქმა. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ ვაქცინაციის შემდეგ დამცავი ქცევის შენარჩუნებაზე ხაზგასმა არ უქმნის რისკს ვაქცინაციის მიმართვიანობას, ან ეფექტიანობის აღქმას. ეს შედეგები მიუთითებს, რომ გამჭვირვალე კომუნიკაციას არ აქვს არსებითი გავლენა ვაქცინაციის მიმართვიანობაზე, თუმცა, ვისაც სურს ამ პროცესის გააქტიურება, რისკებსა და სარგებელზე კომუნიკაციასთან ერთად, უნდა გამოიყენოს მთელი რიგი სხვა სტრატეგიებიც.

ფოკუსჯგუფებისა და კითხვარის რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (84 პროცენტი), ვაქცინაციის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის **ყველაზე სანდო მიმწოდებლები ექიმები არიან**. საგულისხმოა, რომ კითხვარის 342 რესპონდენტიდან ვაქცინირებული არ არის 104 ადამიანი და მათთვის ერთ-ერთ სანდო წყაროს სწორედ ექიმები წარმოადგენენ. ფოკუსჯგუფებშიც არაერთხელ აღინიშნა, რომ ექიმებშიც შეინიშნება პოლარიზაცია სხვადასხვა საკითხის მიმართ: უშუალოდ ვაქცინაციის საჭიროება და უსაფრთხოება; ტრადიციული ვაქცინა ჯობია, თუ ვექტორული; მათი გავლენა და დაცულობის ხარისხი; მკურნალობა, პირბადის საჭიროება და ა.შ. მსგავსი არათანმიმდევრულობაც გარკვეულ დაძაბულობას იწვევს.

„არ ვენდობი ამ ვაქცინებს, რადგან ერთი დღე აცხადებენ, რომ ვაქცინა ვადაგასულია, თუმცა 2-3 დღის შემდეგ საპირისპიროს ამბობენ და ვაქცინაციას განაგრძობენ“.

ექიმების შემდეგ, ნდობით სარგებლობენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სოციალური აქტივისტები და რელიგიური პირები. მონაწილეებში არაერთგვაროვანია დამოკიდებულება საპატრიარქოს პოზიციის მიმართ. ნაწილი აღნიშნავს, რომ თავისი განცხადებით, ამ ინსტიტუტმა გარკვეული პასუხისმგებლობა აირიდა, მაშინ, როდესაც ვაქცინაციისკენ სწორხაზოვანი მოწოდება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მიმართვიანობას, ასევე, აგვარიდებდა ანტივაქსერული განწყობის მქონე სასულიერო პირთა თამამ განცხადებებს; მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საპატრიარქომ ადამიანებს არჩევანის თავისუფლება მისცა.

საერთაშორისო გამოცდილება:

2022 წლის 10 იანვარს რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია „მორალური ვალდებულებაა“ და დაგმო ფაქტი, რომ „უსაფუძვლო ინფორმაციამ“ ადამიანები აიძულა, უარი ეთქვათ სიცოცხლის გადარჩენის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ზომაზე, რომ დასრულდეს ეპიდემია

მაცნე (messenger), რომელიც ახალგაზრდებში ნდობას იწვევს ან/და ყოველთვის იპყრობს მათ ყურადღებას

საკვლევი პოპულაციის უმრავლესობის თქმით, დადგა მიზნობრივი კომუნიკაციის დრო და ყველა ჯგუფს თავისი მაცნე უნდა ჰყავდეს; ამასთანავე, უკვე დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ პირისპირ კომუნიკაცია ყველაზე კარგად მუშაობს.

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სახელმწიფო არ არიან ცარიელ მინდორში, „ანტივაქსერული“ კამპანიებიც ფულს ხარჯავენ და მათი საინფორმაციო დინება გადასაფარია“.

ამასობაში სახელმწიფოს გეგმა კვლავ ბუნდოვანია საკვლევი პოპულაციისთვის, მათ შორის, პროპაგანდის ნაწილში, რაც, მათი აზრით, ასევე დიდი პრობლემაა. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არსებული საინფორმაციო კამპანიები არ არის კარგად ნაფიქრი. როგორც თბილისის, ასევე რეგიონების ფოკუსჯგუფებში აღინიშნა, რომ მედდის დაღუპვამ და ამ მოვლენის გარშემო გავრცელებულმა სხვადასხვა ინფორმაციამ მოსახლეობის ნდობა შეარყია და მტკიცე საფუძველი შექმნა ანტივაქსერული მითების გასავრცელებლად.[8]
რესპონდენტთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია **სამედიცინო პერსონალის ინფორმირება** და მათში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, ვინაიდან მათ მიმართ ნდობა მაღალია. თუმცა, ამ დროისთვის ზოგიერთი ექთანი და სანიტარი კვლავაც აუცრელია, ზოგი ექიმი კი (გიორგი კანდელაკი) საჯაროდ საუბრობს ვექტორული ვაქცინების მავნე გავლენებზე, მათ შორის, ტელევიზიით.

რესპონდენტები სანდო მაცნედ ყველაზე ხშირად ბიძინა კულუმბეგოვს ასახელებენ, შემდეგ კი - გიორგი ღოღობერიძეს. უმრავლესობის თანახმად, ეს ადამიანები მარტივად, გასაგებ ენაზე ხსნიან ყველაფერს, თავდაჯერებულად გამოიყურებიან და შიშს არ იწვევენ საკუთარი საუბრით. უმეტესობა ფიქრობს, რომ გამიზნულად დაშინებაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას შედეგი არ მოაქვს, პირიქით - ეს აგრესიას იწვევს. სამედიცინო სფეროდან წარმატებულ მაცნეებად მონაწილეები ასევე ასახელებენ ლევან რატიანს, არჩილ მარშანიას, ამირან გამყრელიძესა და გიორგი ფხაკაძეს.

საერთაშორისო გამოცდილება:

2021 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა რანდომიზებული საკონტროლო კვლევის (RCT) შედეგები, რომელსაც უნდა დაედგინა სპიკერის ეფექტი COVID-19-ის პანდემიის პირობებში სასურველი ქცევის წასახალისებლად.
გზავნილის ზემოქმედების ძალის დასადგენად, შინაარსისა და ფორმულირების გარდა, მნიშვნელოვანია ისიც, თუ ვინ ახმოვანებს მას. კრიზისულ სიტუაციაში გამაფრთხილებელი გზავნილის სერიული გავრცელება პირველი რიგის ზემოქმედებაა. სხვადასხვა კვლევით დადასტურებულია, რომ ცნობილ ადამიანებს ძლიერი ზეგავლენა აქვთ საზოგადოებრივი

---

[8] „გაიდლაინიც არ ჰქონდათ, რა, როგორ უნდა გაეკეთებინათ, ეს გოგოც მაგიტომ მოკვდა ახალციხეში. იგივე დაემართა ღეიდაჩემსაც და წამში უშველეს. იმ გოგოს კიდევ, როგორც აღმოჩნდა, ფეხმძიმობის საწინააღმდეგო აბები ჰქონდა მიღებული, მედიკამენტოზური აბორტის აბები ჰქონდა დალეული. ამ რაღაცებს უმალავდა მეუღლეს და სასწრაფოდ იმიტომ აიცრა, რომ იტალიაში უნდოდა დედასთან წასვლა“.

– იმ გოგოს კიდე, როგორც აღმოჩნდა ფეხმძიმობის საწინააღმდეგო აბები ჰქონდა მიღებული, მედიკამენტოზური აბორტის აბები ჰქონდა დალეული. ამ რაღაცებს უმალავდა მეუღლეს და სასწრაფოდ იმიტომ აიცრა, რომ იტალიაში უნდოდა დედასთან წასვლა.

აზრის ფორმირებაზე, მათ შორის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კუთხით. თუმცა, არსებული კვლევების თანახმად, სიმულირებული კრიზისების დროს მთავრობის წარმომადგენლები უფრო მეტ მხარდაჭერას იმსახურებენ, ვიდრე ცნობილი სახეები და საზოგადოება
საკუთარი მთავრობის ირგვლივ ერთიანდება. გზავნილის ფორმულირების *(როგორ ჩამოვაყალიბოთ გზავნილი?)* პრობლემისგან განსხვავებით, სპიკერის შერჩევის საკითხი *(ვინ უნდა გაავრცელოს გზავნილი მაქსიმალური ეფექტის მისაღებად?)* - განსაკუთრებით, კრიზისის დროს - შესწავლილი არ იყო. ექსპერიმენტული კვლევა ჩატარდა 2020 წლის 24-30 მარტს, ორი კვირის შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19-ის პანდემია გამოაცხადა (11 მარტი, 2020). ამ ინიციატივას რაოდენობრივი შეფასებით უნდა დაედგინა სხვადასხვა საჯარო პირის ეფექტიანობა სოციალური დისტანცირების დაცვის მოწოდებისას. მონაცემები შეგროვდა 12 575 რესპონდენტს შორის, იმ 6 ქვეყანაში, სადაც ვირუსი იმ დროისათვის მასშტაბურად გავრცელდა (იტალია, აშშ, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, შვეიცარია და ბრაზილია). კვლევის შემუშავებისას ჯგუფმა გაითვალისწინა გზავნილის ეფექტიანობა, კერძოდ თუ რამდენად დამაჯერებელია გზავნილის შინაარსი *(მიღების ეფექტიანობა)* და რამდენად ეფექტიანად აღწევს ის დიდ აუდიტორიას (გაზიარების ეფექტიანობა).
თითოეულ საკვლევ ქვეყანაში განისაზღვრა სამიზნე ასაკობრივი ჯგუფები: 18-32, 33-50, 51-80. კამპანიის მიზნად გამოიყენებოდა „დაწკაპუნების" (clicks) ოპტიმიზაცია. *EPFL*-ისა და *Twitter*-ის სარეკლამო კამპანიის პარალელურად, ამოქმედდა მრავალენოვანი ვებგვერდი, რომელიც შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ვიზიტორებს ამისამართებდა შერჩეული სპიკერის გამოკითხვის ფორმასთან (შესაბამის ენაზე).
განისაზღვრა სპიკერის 4 ტიპი: (i) ოფიციალური მთავრობის სოციალური დისტანციის დაცვის ინსტრუქციათა გამხმოვანებელი; (ii) ცნობილი სამედიცინო ექსპერტი, ეპიდემიასთან დაკავშირებული გამოცდილებით; (iii) არააფილირებული ცნობილი ადამიანი, რომელიც დაინფიცირდა COVID-19-ით; (iv) არააფილირებული ცნობილი ადამიანი, რომელიც პირადად არ დაინფიცირებულა ამ ვირუსით. მთავრობის სპიკერებად შეირჩნენ სახელმწიფოს ის მეთაურები, რომლებმაც იმ დროისათვის დადასტურებულად დაუჭირეს მხარი სოციალურ დისტანციას: დონალდ ტრამპი (აშშ), სიმონეტა სომარუგა (შვეიცარია), ჯუზეპე კონტე (იტალია), პედრო სანჩესი (ესპანეთი) და მუნ ჯე-ინი (სამხრეთ კორეა). ბრაზილიის შემთხვევაში, არ მოიძებნა მტკიცებულება, რომ პრეზიდენტი ჟაირ ბოლსონარო ემხრობოდა სოციალურ დისტანციას. შესაბამისად, კვლევისას, როგორც მთავრობის გზავნილის გამხმოვანებელი, შეირჩა ჯანდაცვის მინისტრი, ლუის ენრიკე მანდეტა.
სამედიცინო ექსპერტად შეირჩა ენტონი ფაუჩი, იმუნოლოგიისა და ინფექციური დაავადებების სფეროში გამოცდილი მეცნიერი აშშ-ში (რომელიც ცნობილია მთელი მსოფლიოსთვის).
ცნობილი ადამიანებიდან შეირჩნენ ტომ ჰენქსი (რომელიც გამოკითხვამდე დაავადდა COVID-19-ით და მედიის ყურადღება მიიპყრო სოციალური დისტანციის წახალისებით) და კიმ კარდაშიანი (სოციალურ ქსელებში პოპულარული პირი, რომელიც ძალიან ღიად საუბრობდა სოციალურ დისტანციაზე). ორივე მათგანი კარგად ნაცნობი იყო შერჩეული ასაკობრივი ჯგუფებისა და საერთაშორისო აუდიტორიისთვის, შესაბამისად, ექვსივე ქვეყნის რესპონდენტებისთვისაც.
სპიკერთა ფოტოები გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით; მათ არ ჰქონდა დამაბნეველი და ზედმეტად ფერადი ფონი; სურათებზე არ ჩანდა სხვა ადამიანი, ასევე, ეროვნული სიმბოლოები ან დროშები, სპიკერებს კი ჰქონდათ ნეიტრალური გამომეტყველება.

კვლევის შედეგების ანალიზით დადგინდა გზავნილის გაზიარების ალბათობა სპიკერის მიხედვით და რამდენად დამოკიდებულია ეს რესპონდენტთა ქვეყანაზე, ან ასაკობრივ ჯგუფზე. კვლევამ აჩვენა, რომ დოქტორ ფაუჩის გზავნილი ყველაზე მეტმა რესპონდენტმა გააზიარა, კიმ კარდაშიანმა კი ყველაზე ნაკლები ყურადღება მიიპყრო. რაც

შეეხება ტომ ჰენქსსა და მთავრობის სპიკერს, მათ შუალედური პოზიცია დაიკავეს.
ბრაზილიაში გზავნილები უფრო მეტად ასაკოვანმა რესპონდენტებმა გააზიარეს. სპიკერის გავლენა განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით: მთავრობის წარმომადგენელი განსაკუთრებულად ეფექტიანი იყო ბრაზილიაში და ყველაზე ნაკლები ყურადღება მიიპყრო

ესპანეთში; ენტონი ფაუჩის გავლენა გაცილებით დიდი იყო სამხრეთ კორეაში, აშშ-სა და ესპანეთში, ხოლო შვეიცარიასა და იტალიაში ის ლიდერობდა მთავრობის წარმომადგენელთან ერთად. ცნობილ ადამიანთა გავლენა, ძირითადად, არაეფექტიანი იყო (ტომ ჰენკსი მცირედი უპირატესობით უსწრებდა კარდაშიანს).
სპიკერთა გავლენის დინამიკა შეფასდა ასაკობრივი ჯგუფებისმიხედვითაც: მთავრობის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ენტონი ფაუჩის გავლენა მაღალია ყველა ასაკობრივ ჯგუფში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში; საშუალო და უფროსი ასაკის ჯგუფებში ის ყურადღებას იპყრობს მთავრობის წარმომადგენელთან წყვილში.
მტკიცებულებათა თანახმად, ცნობილი ადამიანები, რომლებიც თანმიმდევრული მოწონებით სარგებლობენ, დადებით გავლენას ახდენენ ადამიანთა აზრის, დამოკიდებულებებისა და ქცევის ფორმირებაზე. შესაბამისად, კვლევამ შეაფასა, თუ რა გავლენა აქვს სპიკერთა მიმართ სენტიმენტურ დამოკიდებულებას გზავნილის გაზიარების დინამიკაზე: რაც მეტი მოწონება ჰქონდა სპიკერს, მით მაღალი იყო მისი გზავნილის გაზიარების ალბათობა, განსაკუთრებით, სოციალურ მედიაში პოპულარული კიმ კარდაშიანის შემთხვევაში.
კვლევამ დაასკვნა, რომ პანდემიის დროს უმნიშვნელოვანესია სფეროს ექსპერტთა გაძლიერება, რადგან ცნობილი ადამიანების მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, მით უმეტეს, პანდემიის ადრეულ ეტაპზე. გარდა ამისა, ვაქცინისა და საჭირო მკურნალობის ხელმისაწვდომობის შემთხვევაშიც, აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა. ამგვარად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველაზე ეფექტიან წარმომადგენელთა ჩართვა და მხარდაჭერა გადამწყვეტი ფაქტორია ვირუსის გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მიდგომამ, პრაქტიკულად, გადამწყვეტი როლი შეასრულა 2003 წელს, როცა ტორონტოში ატიპური პნევმონიის აფეთქება დაიწყო, ასევე, 2009 წელს, N1H1 გრიპის პანდემიასთან ბრძოლისას.
კომუნიკაციის ეფექტიანობა მყისიერად იკარგება, როცა სოციალური ნორმის გამხმოვანებლები (გავლენიანი პირები) თვითონ აღარ იცავენ მას. კვლევამ აღმოაჩინა, რომ დიდ ბრიტანეთში გზავნილებმა COVID-19-ის ვაქცინათა ცნობილი რისკებისა და სარგებლის შესახებ (სხვადასხვა დონის დეტალიზაციით) მცირე გავლენა მოახდინა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ განზრახვებზე, ასევე, შეხედულებებზე COVID-19-ის ვაქცინების მიმართ. თუმცა, ზოგიერთმა გზავნილმა დადასტურებულად გაზარდა რისკისა და სარგებლის აღქმა. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ ვაქცინაციის შემდეგ დამცავი ქცევის შენარჩუნებაზე ხაზგასმა არ უქმნის რისკს ვაქცინაციის მიმართვიანობას, ან ეფექტიანობის აღქმას. ეს შედეგები მიუთითებს, რომ გამჭვირვალე კომუნიკაციას არ აქვს არსებითი გავლენა ვაქცინაციის მიმართვიანობაზე, თუმცა, ვისაც სურს ამ პროცესის გააქტიურება,
რისკებსა და სარგებელზე კომუნიკაციასთან ერთად, უნდა გამოიყენოს მთელი რიგი სხვა სტრატეგიებიც.ამ საერთაშორისო კვლევის შედეგებისა და წინამდებარე კვლევის მიგნებათა გათვალისწინებით, შეგვიძლია განვსაზღვროთ ვაქცინაციის საკომუნიკაციო კამპანიის გამოწვევები და წარმატების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები საქართველოში. მართალია, საკვლევ პოპულაციაში ვაქცინაციის შესახებ სანდო წყაროებად და სპიკერებად ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები დასახელდნენ, თუმცა, გზავნილის მიღების ეფექტიანობის მხრივ, მათი გავლენა განსხვავებულია. იმისათვის, რომ მიმღებმა ირწმუნოს გზავნილის შინაარსი და მოუნდეს მისი გაზიარება, მნიშვნელოვანია, გამხმოვანებელი (სპიკერი) თავისი გზავნილის „ერთგული" დარჩეს. ეს გულისხმობს სპიკერის სიტყვიერ და ქცევით ერთგულებას გზავნილის შინაარსის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გზავნილის შინაარსი არ უნდა იცვლებოდეს, დასაშვებია მხოლოდ მისი გამყარება (მაგ: სტატისტიკით). ამასთანავე, სპიკერის ქცევა (მით უმეტეს, თუ საჯარო ფიგურაა) სრულად უნდა შეესაბამებოდეს მის გზავნილს. აქედან მცირედი გადახვევაც კი შეიძლება დამაზიანებელი აღმოჩნდეს. საკვლევი პოპულაციის მიერ ბიძინა კულუმბეგოვისა და გიორგი ღოღობერიძის დასახელება სანდო გამხმოვანებლებად, სწორედ საკუთარი გზავნილებისადმი მათი ერთგულებით აიხსნება.

თუმცა, ამ შეფასებაზე გავლენა იქონია კომუნიკაციის დადებითმა ფორმამ/ენამაც, რაზეც დოკუმენტის შემდგომ ნაწილშია საუბარი. ჯანდაცვის სფეროს დანარჩენ ექსპერტთა მიმართ, რომლებიც რესპონდენტებმა წარმატებულ სპიკერებად დაასახელეს, დამოკიდებულება არაერთგვაროვანია - მათ უსმენენ, თუმცა ბოლომდე არ ენდობიან. მიზეზებს შორის

სახელდება არასაკმარისი ერთგულება საკუთარი გზავნილების მიმართ, რაც გამოიხატება როგორც საკითხისადმი ცვალებადი პოზიციით, ასევე გზავნილისა და ქცევის აცდენით. ჯანდაცვის ექსპერტთა მიმართ საზოგადოების[9] ნდობის დაქვეითებაზე პასუხად, მთავრობებმა, მათ შორის საქართველოშიც, დაიწყეს ცნობილი ადამიანების ჩართვა[10] კომუნიკაციაში. მართალია, ამ ადამიანებს შეუძლიათ ცნობიერების ამაღლება ჯანდაცვის საკითხებზე, განსაკუთრებით, თაყვანისმცემლებს შორის, თუმცა ეს შეიძლება არ გულისხმობდეს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას თანმდევ რისკებსა და მკურნალობაზე[11], რაც პანდემიის დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია. იმის გათვალისწინებით, რომ სიმულირებული კრიზისების დროს მთავრობის წარმომადგენლები უფრო მეტ მხარდაჭერას იმსახურებენ, ვიდრე ცნობილი სახეები (მაგ: საკვლევ პოპულაციაში გაცილებით დიდი იყო ინტერესი პრემიერმინისტრისა და ჯანდაცვის მინისტრის ვაქცინაციის სტატუსის მიმართ, ნებისმიერი სხვა ცნობილ ადამიანთან შედარებით), კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მთავრობამაც და ჯანდაცვის ექსპერტებმაც სათანადოდ შეაფასონ საკუთარი როლი და პასუხისმგებლობები მოსახლეობის ინფორმირებასა და დარწმუნებაში. ამით ისინი მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს იმუნიზაციის მიზნების მიღწევას.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებული სლოგანების შეფასება: „მე ავიცერი შენთვის!" „აიცერი/აცრა გვიცავს!" „აიცერი!"

ამ სლოგანთა მიმართ დამოკიდებულება საკვლევ პოპულაციაში ერთგვაროვანია: უმრავლესობა მათ იწონებს, თუმცა მიიჩნევს, რომ საქართველოს რეალობაში ისინი არ მუშაობს. ფოკუსჯგუფებში მეტი აგრესია შეიმჩნევა სლოგანისადმი - **„მე ავიცერი შენთვის".** გაჟღერდა მოსაზრება, რომ უკეთესი იქნებოდა, ფორმა: **„მე ავიცერი ჩვენთვის",** რადგან პირველი ვერსია გაღიზიანებას იწვევს მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც ვაქცინაციის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი.

რესპონდენტთა თანახმად, მათ თანატოლებში უნდობლობაა ინფიცირებისა და ლეტალობის სტატისტიკის მიმართაც, რის დასაძლევადაც შეიძლება გამოსავალი იყოს გარდაცვალების სტატისტიკის პერსონიფიცირება, თუმცა ეს საფრთხილო საკითხია:

„ამდენმა ნეგატივმა შესაძლოა უკურეაქცია გამოიწვიოს, მაგრამ ყველაფერი უნდა ვცადოთ, ათას ადამიანზე რომ იმოქმედოს, ეს ადამიანები კიდევ დამატებით ათასზე იმოქმედებენ".

საკვლევი პოპულაციის ნაწილის აზრით, ადამიანები, რომლებიც არ იცრებიან, რაღაცამ უნდა შეაშინოს ამ ნაბიჯის გადასადგმელად, თუმცა ამ მოსაზრებას სხვები არ ეთანხმებიან: რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ შეშინებამ შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოს. გახშირდა შემთხვევები, როდესაც დაშინებულები შემდეგ ანტივაქსერებთან ეძებენ ნუგეშს.
რელევანტური საერთაშორისო გამოცდილება:

პანდემიის დროს ერთ-ერთი მთავარი რეაქციაა შიში. ადამიანებს, თავდაცვით სისტემათა მთელი ნაკრები აქვთ ეკოლოგიურ საფრთხეებთან გასამკლავებლად. შექმნილი ვითარებით გამოწვეული უარყოფითი ემოციები შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს, შიშმა კი საფრთხე კიდევ უფრო გარდაუვალი გახადოს. მეტაანალიზმა აჩვენა, რომ შიშების მიზანმიმართულად გამოყენება რიგ სიტუაციაში შეიძლება სასარგებლო იყოს, მაგრამ არა ყოველთვის: შიშზე აპელირება ადამიანებს ქცევის შეცვლისკენ უბიძგებს, თუკი გრძნობენ, რომ შეუძლიათ საფრთხესთან გამკლავება; თუმცა, როდესაც მათ უმწეობის განცდა ეუფლებათ, შიში თავდაცვით რეაქციებს იწვევს.

---

[9] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32626439/
[10] https://www.instagram.com/p/B996tSCBjBQ/
[11] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/24357847/

საკვლევი პოპულაციის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კომუნიკაცია დადებითი უნდა იყოს და ადამიანთა ცნობიერება მიჰყავდეს დამოკიდებულებამდე, პასუხისმგებლობამდე და თუნდაც მიმბაძველობამდე- **„თუ არ იცრები ტეხავს“.**

კომუნიკაციის შედეგად გამოტანილი დასკვნები (Takeaways)

კომუნიკაცია ადამიანებში სხვადასხვა ემოციას აღძრავს, კომუნიკაციის შედეგად გამოტანილი დასკვნები კი გავლენას ახდენს მათ მომავალ გადაწყვეტილებებზე და განაპირობებს მათ ქცევას. თავად კომუნიკაცია შეიძლება იყოს მოკლე, თუმცა რას იგრძნობენ ადამიანები მის შემდეგ და რას დაასკვნიან, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც გამოცდილება. დადებითი კომუნიკაციისას ადამიანები გრძნობენ პატივისცემას, მხარდაჭერასა და კონტროლს. თუ კომუნიკაციის შედეგად (მათ შორის, ჯანდაცვის პროფესიონალებთან), ადამიანებს რჩებათ განცდა, რომ მათ განსჯიან, წუხილებს კი სათანადოდ არ ითვალისწინებენ, დგება უარყოფითი გამოცდილება და შეიძლება აღარ დარჩეს სივრცე სამომავლო კომუნიკაციისთვის. კვლევამ გამოავლინა დასკვნები, რომლებიც საკვლევმა პოპულაციამ გააკეთა კომუნიკაციის შედეგად და გავლენას ახდენს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე.

COVID-19-ის ვაქცინაციაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ გამოტანილი დასკვნები

რესპონდენტთა აზრით, მნიშვნელოვანია **ინფორმაციის ღიად მიწოდება** ვაქცინებსა და შესაძლო გვერდით მოვლენებზე, მათ შორის, შემდეგ საკითხებზეც: ვაქცინირებულ პირთა ინფიცირება, ამ ადამიანებში ვირუსის მიმდინარეობა და გარდაცვალების ფაქტები. აღნიშნული თემების ბუნდოვანება კიდევ უფრო მეტ ეჭვს აღძრავს.

„მგონია, ყველა ვაქცინაზე, მათ ავკარგიანობაზე უნდა იყოს მსჯელობა, დისკუსია, რათა მოსახლეობაში ცნობიერება ამაღლდეს და ყველამ გააზრებულად მიიღოს აცრისა და არაცრის გადაწყვეტილება. აცრა არ უნდა იყოს ძალდატანებითი, არამედ გააზრებულად უნდა მოხდეს ამ ნაბიჯის გადადგმა“.

მათი დასკვნები შეეხო რეალობისგან დისტანცირებასა და გაუფერულებულ სტატისტიკასაც. როგორც წინა თავებში აღინიშნა, საკვლევი პოპულაციის ნაწილის აზრით, გარდაცვლილი ადამიანები მხოლოდ ციფრებად იქცნენ, ამიტომ, გაშუქებისას სასურველია მათი პერსონიფიცირება. ამ მიდგომას ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ეწინააღმდეგება და ამბობს, რომ ისედაც მძიმე გარემოში უარყოფით ინფორმაციას აღარ შეხედავენ. შესაბამისად, საკომუნიკაციო კამპანია დაცლილი უნდა იყოს ნეგატივისა და შეშინებისგან.
ასევე აღინიშნა აგრესიაც ექიმების მიმართ, რაც გამოსასწორებელია.

„რთული წარმოსადგენია გარედან, თუ რა ხდება საავადმყოფოს შიგნით, რა გარემოში უწევთ ექიმებს მუშაობა, ხანდახან რამდენიმე დღე გადაბმულად, დასვენების გარეშე. როგორი სტრესია, უყურო ადამიანს, რომელიც შველას გთხოვს, შენ ამშვიდებ, შემდეგ კი, უცებ, მძიმდება და უსუსური ხდები“.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი დასკვნა, მიღებული იმ მშობელთა ქცევაზე დაკვირვებით, რომელთა შვილებსაც ამ პერიოდში წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცათ: „მაგალითად, ჩემს ახლობელს ჰყავს ტყუპები, აქედან ერთ-ერთი მოხვდა „ფლექსის“ პროგრამაში და აცრა მოსთხოვეს. მანაც მხოლოდ ერთი შვილი აცრა.“ სხვა მონაწილის თქმით, მისმა მეგობარმა შვილი აცრა უნივერსიტეტში სიარულისთვის, თვითონ კი არ აცრილა.

ახალგაზრდების ემოციები COVID-19-ის ვაქცინაციაზე კომუნიკაციის/ინფორმაციის მიღების შემდეგ

COVID-19-ის ვაქცინაციაზე მიღებული ინფორმაციით გამოწვეული ემოციები დამოკიდებულია მონაწილეთა განწყობასა და თავდაჯერებულობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. რეგულაციებზე ინფორმაცია, მათ შორის, მწვანე პასპორტის შემოღება, აგრესიას და

გაღიზიანებას იწვევს ვაქცინაციის მოწინააღმდეგე საკვლევ პოპულაციაში. ინფორმაციები ვაქცინირებულთა დაინფიცირებაზე შემაშფოთებელია იმ პოპულაციისთვის, რომელსაც ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, ან რომელიც იძულებით აიცრა. შიშსა და შფოთვას იწვევს აცრილ პოპულაციაში COVID-19-ის ახალი შტამის - ომიკრონის გამოჩენა, ასევე, ინფორმაცია, რომ შესაძლოა არსებული ვაქცინები მის მიმართ ეფექტიანი არ იყოს.
იმედგაცრუებას იწვევს ის, რომ ვაქცინირებული ადამიანები მეტი პრიორიტეტით არ სარგებლობენ (არავაქცინერებულ მოსახლეობასთან შედარებით) და საკმარისად არ არის არგუმენტირებული კომუნიკაცია, რომელმაც ისინი უნდა დაარწმუნოს აცრაში. საკვლევი პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი კომუნიკაცია მიანიშნებს ქაოსსა და ეპიდსიტუაციის მართვის

პრობლემებზე, რაც უმწეობის განცდას ტოვებს და „ანტივაქსერებს“ უმყარებს არგუმენტებს.

„აცრის სიკეთეს ვერ ხედავენ... სავარაუდოდ, არგუმენტები არ გვაქვს ძლიერი, ჩვენი მოლაპარაკებების რესურსი ამოწურულია“.

მოტივაციას ამყარებს ინფორმაციები, რომ ბოლო კვლევების თანახმად, ვაქცინირებულთა ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობამ ძალიან იკლო.

„უკანასკნელი ინფორმაცია, რაც მივიღე, ის არის, რომ ვაქცინირებულთა რაოდენობა იზრდება, ვაქცინირებული ადამიანების ფატალური შედეგიც კორონავირუსთან ბრძოლაში უფრო ნაკლებია. ამან შემმატა მოტივაცია“.

საერთაშორისო გამოცდილება:

ემოციები ხშირად გავლენას ახდენს რისკის აღქმაზე, ზოგჯერ უფრო მეტადაც კი, ვიდრე ფაქტობრივი ინფორმაცია. სარისკო სიტუაციაში ემოციურმა რეაქციამ შეიძლება განაპირობოს ადამიანის ორეტაპიანი აზროვნება: პირველ ეტაპზე ემოციის ხარისხი (მაგ: უარყოფითი vs. დადებითი) ადამიანთა ყურადღებას მიაპყრობს შესაბამის ინფორმაციაზე (მაგ: უარყოფით ინფორმაციაზე - უარყოფითი განცდებისას); მეორე ეტაპზე კი სწორედ ეს ინფორმაცია გამოიყენება მსჯელობისათვის. მაგალითად, მწეველები, რომლებიც უფრო მეტ უარყოფით გაფრთხილებას იღებდნენ, შედარებით მეტ უარყოფით ემოციას განიცდიდნენ ამ გაფრთხილებების მიმართ, მეტ დროს უთმობდნენ მათ შესწავლას და მეტი რისკი ახსენდებოდათ, რამაც იმოქმედა რისკის აღქმასა და მოწევის შეწყვეტაზე. ასეთ დროს შესაძლებელია, ადამიანებმა მეტ უარყოფით ემოციას დააყრდნონ საკუთარი გადაწყვეტილება, მათ შორის, COVID 19-თან დაკავშირებით.

ძლიერი ემოციური რეაქციების შემთხვევაში, ადამიანებმა ვერ შეძლეს ციფრებში გამოხატული ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმა, როგორიცაა პრობლემის ალბათობა და მასშტაბი, შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია ვერ იქნა სათანადოდ შეფასებული. ზოგადად, მედია ბევრ ქვეყანაში - მათ შორის, საქართველოშიც - უარყოფითად ავრცელებს ინფორმაციას COVID-19-ზე (მაგ: ინფიცირებულ პირთა და გარდაცვლილთა რაოდენობაზე უფრო მეტ ინფორმაციას აწვდის, ვიდრე უკვე გამოჯანმრთელებულ ან მსუბუქი სიმპტომების მქონე პირებზე). უკანასკნელი კვლევების თანახმად, ამ მიდგომამ შესაძლოა გაზარდოს უარყოფითი ემოციები და ადამიანთა მგრძნობელობა საკუთარი ან სხვისი უგულებელყოფილი რისკების მიმართ. სხვადასხვა ქცევითი ინტერვენციის საფუძველზე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ დადებითი კომუნიკაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებთან დაკავშირებით გაზრდის საზოგადოების განათლებას და, უარყოფითი ემოციების შემსუბუქებით, გააძლიერებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ორიენტირებულ ქცევებს.

პერსონა (Persona)

ფიზიკურად ჩატარებული ფოკუსჯგუფების ფარგლებში, დისკუსიის ბოლოს მონაწილეებს უნდა შეევსოთ პერსონას ცხრილი.

კერძოდ, მათ მოკლე ისტორიებით უნდა აღეწერათ ახალგაზრდა ადამიანის პერსონა, მათ შორის, დამოკიდებულება COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციისადმი. უმეტესწილად, ეს გახლდათ მონაწილეთა პიროვნული რეფლექსია, გადმოცემული გამოგონებული პერსონაჟის სახელით. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობას, მიუხედავად იმისა, ვაქცინირებული იყო თუ არა, დადებითი განწყობა ჰქონდა ვაქცინაციის მიმართ, თუმცა დაზუსტებული ინფორმაციის არსებობა მათ ხელს შეუწყობდა გადაწყვეტილების მიღებაში. შესაბამის გრაფაში დასმული კითხვები ყველა შემთხვევაში (ვაქცინირებული იყო თუ არა პერსონა და ჰქონდა თუ არა ნდობა ვაქცინ(ებ)ის მიმართ) უკავშირდებოდა ვაქცინების სანდოობასა და შესაძლო გვერდით მოვლენებს.

რეკომენდაციები

განასხვავებენ ადამიანების ზრუნვის/შფოთვის წრეს (საკითხები, რომლებიც გვაინტერესებს, მაგრამ ვერ ვაკონტროლებთ) და ადამიანების გავლენის წრეს (საკითხები, რომლებიც გვაინტერესებს და შეგვიძლია მათზე გავლენა მოვახდინოთ)[12].
ადამიანის ზრუნვის/შფოთვის წრეში შედის ყველა ის საკითხი რომელიც გვაღელვებს (მაგ. პანდემია, ქაოსი, კარანტინი, შეზღუდვები, უმოქმედება, სიკვდილი, ჩაკეტილობა და ა.შ), ხოლო აღნიშნული წრის მთავარი გამოწვევაა შევძლოთ იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც შეგვიძლია ვაკონტროლოთ.
ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ეკონომიკას ან გლობალურ პანდემიას. რეაგირებისას, ადამიანებს გვჩვევია კონცენტრირება მოვახდინოთ შფოთების წრეზე, რაც ფუჭად ხარჯავს ჩვენს ენერგიას, რადგან ჩვენ მასზე კონტროლი არ გვაქვს. შფოთების წრეზე ორიენტირებული ენერგია უარყოფითია. თუ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ შფოთების წრეზე და უგულებელვყოფთ გავლენის წრეს, გავლენის წრე შემცირდება. ეს გაზრდის სტრესისა და უმწეობის განცდას, რადგან შეშფოთების წრეში ვერაფერს შევცვლით.

გავლენის წრეზე წარმატებით კონცენტრირებისას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენ შეგვიძლია არაპირდაპირი ზეგავლენა მოვახდინოთ უფრო ფართო მასშტაბზეც. მაგალითად, როგორც ახლა, გლობალური პანდემიის პირობებში, ჩვენი პირდაპირი კონტროლის ქვეშ არსებულ საკითხებს, როგორიცაა მაგალითად ვაქცინაციის პერსონალური არჩევანი, შეიძლება არაპირდაპირი თუმცა სისტემური დადებითი გავლენა ჰქონდეს ჩვენს გარშემო მყოფებზე.

ახალგაზრდების ხელშეწყობა გავლენის წრეზე კონცენტრირებაში შესაძლებელია. თუმცა ვინაიდან არჩევანის გაკეთება ინდივიდუალური აქტია, მნიშვნელოვანია ვფლობდეთ ინფორმაციას მათ შფოთვის წრესა და იქ შემავალი საკითხების შესახებ. შემდეგ კი მიზნობრივი საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებით, დავეხმაროთ გავლენის წრეში შემავალი საკითხების იდენტიფიციფრებაში და ვუბიძგოთ მოქმედებისკენ. კომუნიკაცია უნდა იყოს მხოლოდ პოზიტიური არ უნდა მოიცავდეს ნეგატიურ ან შეშინებაზე ორიენტირებულ დებულებებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ქცევის ცვლილებაზე ორიენტირებული ინტერვენცი(ებ)ის პოტენციური სამიზნეები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ იმუნიცაზიის მიზნების მიღწევას.

სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა და დავიწროება სამიზნე ჯგუფების მიხედვით

---

[12] *The 7 Habits of Highly Effective People*, Stephen Covey

ნებისმიერი საკომუნიკაციო ინტერვენციის დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია სამიზნე აუდიტორიის ნათლად განსაზღვრა მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად. კვლევამ დაადგინა, რომ მიზნობრივი კომუნიკაციის დრო დადგა. შესაბამისად, ახალგაზრდებზე მიმართული საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავებისას, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს კონკრეტული ჯგუფები და შეიქმნას გზავნილების ნაკრები (message box), მათი მახასიათებლებისა და საჭიროებების მიხედვით. კვლევის შედეგად, შეგვიძლია გამოვკვეთოთ რამდენიმე ჯგუფი:

ინფორმირებული ვაქცინირებული ახალგაზრდები:

- → ფლობენ ინფორმაციას ვაქცინებზე, მათ შორის, საერთაშორისო წყაროებიდან;
- → მოტივატორად ასახელებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას;
- → პრაქტიკულად პირველები აიცრნენ საკუთარი ოჯახის წევრების დასაცავად;
- → მონაწილეობენ ვაქცინაციის წამახალისებელ კამპანიებში, მათ შორის, პირისპირ შეხვედრებში;
- → რიგ შემთხვევებში, მათთვის მიუღებელია ვაქცინაციის საწინააღმდეგო მოსაზრებები, ან დაეჭვება აცრის ეფექტიანობაში.

ვაქცინირებული ახალგაზრდები, რომლებსაც უჩნდებათ კითხვები და, ზოგჯერ, იმედგაცრუებაც:

- → მოუწიათ ვაქცინაცია ინსტიტუტში სიარულისთვის, ან დამსაქმებლის მოთხოვნით;
- → არ ენდობიან არცერთ ვაქცინას;
- → იმედგაცრუებულნი არიან, რომ ვერ სარგებლობენ ვაქცინირებულის სტატუსით გათვალისწინებული უპირატესობებით;
- → იმედგაცრუებულნი არიან, რომ ვაქცინირებული პირებიც ინფიცირდებიან და რთულად გადააქვთ ვირუსი;
- → აქვთ ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი კითხვები და შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მათი შემდგომი ვაქცინაცია.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მყოფი ახალგაზრდები:

- → ზოგადად, დადებითად არიან განწყობილნი ვაქცინაციის მიმართ, მაგრამ არ აქვთ პასუხი ვაქცინების შესაძლო გავლენაზე გრძელვადიან პერსპექტივაში;
- → მათზე გავლენა აქვს სოციალურ წრეს/ოჯახს, რაც ხელს უშლით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში;
- → მიზეზად ასახლებენ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ყველაზე ხშირად კი - ალერგიულობას;
- → გადაწყვეტილების მიღებაში ხელს უშლით ვაქცინის შესაძლო გვერდითი მოვლენები (მათ შორის, მყისიერი გავლენა: ანაფილაქსიური შოკი, ხელის მოხმარების შეზღუდვა, ორსულობის შეწყვეტა და ა.შ.);
- → გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს ცვალებადი ინფორმაცია, საჯარო პირთა ქცევა და ვაქცინაციის სტატუსის ბუნდოვანება;
- → შეხება აქვთ ექიმებთან, რომლებიც არ არიან დარწმუნებულნი ვაქცინაციის სიკეთეებში.

შეთქმულების თეორიების მიმდევარი ახალგაზრდები:

- → სჯერათ, რომ COVID-19 ხელოვნურად გამოყვანილი ვირუსია მსოფლიო მოსახლეობის შესამცირებლად;
- → სჯერათ, რომ ვაქცინები იწვევს ისეთ ორგანულ ცვლილებებს, რომლებსაც შეიძლება სიკვდილიც მოჰყვეს;
- → სჯერათ, რომ ვაქცინები იწვევს უნაყოფობას;
- → აქვთ ნდობა გეგმიური ვაქცინების მიმართ, თუმცა არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინისადმი;
- → არ ყოფნით ინფორმაცია, თუ რა სარგებელი მოაქვს ვაქცინას, ლეტალობის შემცირების გარდა;

→ ამბობენ, რომ აცრილებიც ინფიცირდებიან COVID-19-ით და ვაქცინა არაეფექტიანია.

აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდები:[13]

<u>მიიჩნევენ, რომ:</u>

→ ვაქცინა კლავს;
→ მორწმუნე ადამიანმა ვაქცინაციას არ უნდა მიმართოს;
→ COVID-19 ჩვეულებრივი გრიპის ვირუსია და ვაქცინების გამოსაცდელად მოიგონეს;
→ სტატისტიკას ადამიანთა დასაშინებლად იყენებენ;
→ ვაქცინაციისკენ მოწოდება და რეგულაციები ზღუდავს მათ თავისუფალ არჩევანს.

ქცევის ცვლილებაზე ორიენტირებული კომუნიკაციის ეფექტიანობისთვის, რეკომენდებულია, პირველ რიგში, მივწვდეთ ადამიანებს, რომლებიც უფრო მაღალი მიმღებლობით გამოირჩევიან ცვლილებებისა და ვაქცინაციის მიმართ და აქტიურად ეძებენ არგუმენტებს, რომლებიც დაეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში. ინფორმაციის გავრცელების თეორიის თანახმად, ამ მედიანაზე ფოკუსირებით, ცვლილებები ეტაპობრივად მიაღწევს იმ ადამიანებამდეც, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ ვაქცინაციას, ან საერთოდაც არ აპირებენ აცრას.

გამჭვირვალე კომუნიკაცია

COVID-19-ის პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში განხორციელებული კვლევებისა და ინტერვენციების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ გამჭვირვალე კომუნიკაცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნდობის ფორმირებას და ეფექტიანი ინსტრუმენტია მითების დასამსხვრევად. საკვლევ პოპულაციაში სწორედ ამგვარი კომუნიკაციის ნაკლებობა დასახელდა ვაქცინაციის მნიშვნელოვან ბარიერად. პასუხები როგორც ვაქცინირებული, ასევე არავაქცინირებული საკვლევი პოპულაციის კითხვებზე შესაძლებელია განთავსებული იყოს ამა თუ იმ სახელმწიფო ვებგვერდზე, ან განიხილებოდეს ტელევიზიით, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, საკვლევი პოპულაცია პასუხებს ვაქცინის გვერდით მოვლენებზე, ტესტირების პერიოდსა და სხვა საკითხებზე თვითნებურად იძიებს

სოციალური მედიისა თუ აპლიკაციების გამოყენებით და ალბათობა, რომ ცრუ ინფორმაციას წააწყდებიან, დიდია.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია, სამიზნე აუდიტორიას თვითონ სახელმწიფო აწვდიდეს გაერთიანებულ ინფორმაციას ყველაზე ხშირად გამოყენებული არხების საშუალებით (მაგ: Facebook adds, Instagram; SMS; Viber და ა.შ.). მნიშვნელოვანია, ასეთი ინფორმაცია არ შეიცავდეს მოწოდებებს; ამასთანავე, ახალგაზრდებს მათთვის გასაგებ ენაზე აწვდიდეს დეტალურ, მეცნიერული კვლევებითა და სტატისტიკით გამყარებულ ინფორმაციას, რომლის მიზანია ნდობის ფორმირება.

კონსოლიდირებული/გაერთიანებული ინფორმაცია პასუხს უნდა სცემდეს, სულ მცირე, შემდეგ კითხვებს:

✔ რატომ შეიქმნა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები?
✔ როდის შეიქმნა და როდის გამოსცადეს ისინი?
✔ როგორ და ვინ დაამტკიცა ეს ვაქცინები?
✔ სად და როგორ კეთდება ინექცია?
✔ ვაქცინების რა სარგებელი გამოიკვეთა კვლევებით?
✔ ამცირებს თუ არა ვაქცინა ვირუსის გადაცემას ერთი ადამიანიდან მეორეზე?
✔ რამდენ ხანს გრძელდება ვაქცინის დაცვა?
✔ შეიძლება თუ არა ბავშვების ვაქცინაცია?
✔ შეუძლიათ თუ არა აცრა ალერგიულ ადამიანებს?

[13] *ფოკუსჯგუფებში ვაქცინაციისადმი რადიკალურად განწყობილი მონაწილეები არ გამოკვეთილა, თუმცა მათ დაახასიათეს მსგავსი პროფილის ახალგაზრდები.*
კითხვარის რესპონდენტებში კი რამდენიმე ასეთი ახალგაზრდა გამოვლინდა.

- ✔ რამდენად კარგად მუშაობს ვაქცინა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და სქესის ადამიანებზე?
- ✔ რა რისკები/გვერდითი მოვლენები ახლავს ვაქცინებს?
- ✔ რა შედეგები დაიდო COVID-19-ის ვაქცინების კლინიკური ცდებით?
- ✔ როგორ მიდის სამეცნიერო შეფასებისა და დამტკიცების პროცესები?
- ✔ როგორ ვითარდება სტანდარტული ვაქცინები?
- ✔ რამდენად სწრაფად ვითარდება ვაქცინა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო სიტუაციებში?

მსგავსი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელს შეგვიწყობს, რომ ვუპასუხოთ საკვლევი პოპულაციის შფოთვის წრეში შემავალ საკითხებსაც. შედეგად, მიზნობრივი საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებით, მათ დავეხმარებით გავლენის წრეში შემავალ საკითხთა განსაზღვრაში და ვუბიძგებთ მოქმედებისკენ. კომუნიკაცია უნდა იყოს მხოლოდ დადებითი და არ შეიცავდეს უარყოფით ან შეშინებაზე ორიენტირებულ დებულებებს.

დაბალანსებული კომუნიკაცია

პანდემიის დროს ადამიანები ხშირად ავლენენ „ოპტიმისტურ მიკერძოებას“ (optimism bias) - რწმენას, რომ, სხვებთან შედარებით, ცუდი რამ მათ ნაკლებად დაემართებათ. ეს შეიძლება სასარგებლო იყოს უარყოფითი ემოციების ასაცილებლად[14], თუმცა, ამავე დროს, ადამიანებს ხელს უშლიდეს დაინფიცირების რისკების სათანადოდ შეფასებაში[15] და მათ უგულებელყონ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გაფრთხილებები.[16] მაგალითად, კითხვარის იმ რესპონდენტთაგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ COVID-19-ით გამოწვეულ საფრთხეს საზოგადოება ძალიან რეალისტურად აფასებს და ამბობენ, რომ ის

გადაჭარბებულია ან არ არსებობს, უმრავლესობა არ არის ვაქცინირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საკომუნიკაციო სტრატეგიების დაგეგმვისას დაცული იყოს ბალანსი „ოპტიმისტური მიკერძოების“ დაძლევასა და გადაჭარბებული შფოთვის/შიშის აცილებას შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არარაციონალური ოპტიმიზმით აღსავსე ახალგაზრდები სასურველ ქცევამდე არ უნდა მიიყვანონ მათში შიშისა და შფოთვის აღძვრით.

დადებითი კომუნიკაცია

პირველ რიგში, ეს გულისხმობს პატივისცემაზე დაფუძნებულ მიდგომას - დადებითი კომუნიკაციისას სამიზნე აუდიტორიამ უნდა იგრძნოს პატივისცემა. შესაბამისად, ასეთი კომუნიკაცია მიზნად არ უნდა ისახავდეს შერცხვენასა (shaming) და დაშინებას, ის უნდა ფოკუსირდეს ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებაზე, აუდიტორიისთვის გასაგები ენით. დადებითი კომუნიკაცია ყოველთვის ორიენტირებული უნდა იყოს გამოსავალზე/გადაწყვეტაზე, რომელიც აუდიტორიისთვის ასოცირდება მარტივ ქმედებასთან და არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა არხისა და ინსტრუმენტის გამოყენება, თუმცა კომუნიკაციის ძირითადი გზავნილები უნდა იყოს ერთგვაროვანი და ხელს უწყობდეს სოციალური ნორმის ფორმირებას.
საკვლევ პოპულაციაში გამოიკვეთა წარმატებული კომუნიკაციის მაგალითები: ბიძინა კულუმბეგოვის პირისპირ კომუნიკაციები მოსახლეობასთან, რომლებსაც რეალური შედეგი მოჰყვა. რეკომენდებულია, ასეთ მაგალითებზე დაყრდნობით, შეიქმნას ერთიანი გზავნილების ნაკრები (message box) და გაიზარდოს კომუნიკაციის მასშტაბი. ეს გულისხმობს საერთო გზავნილთა მიწოდებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით და სხვადასხვა გამხმოვანებლის მიერ. ამ კვლევისა და საერთაშორისო ინტერვენციების მიგნებათა გათვალისწინებით, სასურველია, გამხმოვანებელი, პირველ რიგში, შეირჩეს სამედიცინო სფეროდან და ხელისუფლების წარმომადგენელთაგან, შემდგომში კი, სოციალური ნორმის გასაძლიერებლად, მიზანშეწონილი იქნება ცნობილი ადამიანებისა და თანატოლი ინფლუენსერების ჩართვაც.

[14] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/16126162/
[15] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/22153158/
[16] https://osf.io/dz428

სასურველია, განსხვავდებოდეს კომუნიკაციის საშუალებებიც (პირისპირ კომუნიკაცია; ვიდეომიმართვა; გზავნილი, გამხმოვანებლის ფოტოსურათით; და SMS შეტყობინება).

სოციალური ნორმის კომუნიკაცია

ამ მიდგომის გამოყენება რეკომენდებულია კონკრეტულ ჯგუფებში. კერძოდ, მისი ეფექტიანობისათვის, სამიზნე ახალგაზრდები თავს უნდა მიაკუთვნებდნენ იმ ჯგუფს, რომელზეც კეთდება მითითება (მაგ: „გამარჯობა, ელენე, მოგზაურობის დრო ახლოვდება. ახალგაზრდების უმრავლესობამ უკვე შეადგინა მოგზაურობის გეგმა და ვაქცინაციისთვის დარეგისტრირდა. შენც შეგიძლია, დარეგისტრირდე ბმულზე *www.bookingmoh.gov.ge,* ან მოგვაკითხო მისამართზე (-----). წინა თვეებთან შედარებით, გაცილებით მეტი ახალგაზრდა აიცრა მეგობრებთან ერთად უსაფრთხოდ მოგზაურობისათვის)“.

ძლიერი სოციალური ნორმის კომუნიკაციის მაგალითები:

„ათასობით ადამიანის მონაწილეობით ჩატარებული კვლევების შედეგად, ახალგაზრდების უმრავლესობამ უკვე იცის, რომ ორსულობის მეორე და მესამე ტრიმესტრში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ ზრდის ორსულობის

გართულებათა რისკებს, როგორიცაა მკვდრადშობა, ნაადრევი მშობიარობა (გესტაციის 37 კვირამდე), ან ახალშობილთა სიკვდილი.

“დროა, შენც დაამსხვრიო მითები, მოუყევი ამის შესახებ მეგობრებს“.

„საქართველოს ახალგაზრდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე იცის, რომ არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა COVID-19-ის ვაქცინის ზეგავლენას რეპროდუქციაზე, არც სანდო სამეცნიერო თეორიები, თუ როგორ შეიძლება ვაქცინა უნაყოფობას იწვევდეს. ბრალდებები ამის შესახებ, საუკეთესო შემთხვევაში, სპეკულაციურია.

“დაამსხვრიე მითები, ესაუბრე ამის შესახებ მეგობრებს“

„საქართველოს ახალგაზრდების უმრავლესობა საუბრობს კვლევებზე, რომელთა თანახმადაც, COVID-19-ის ვაქცინაცია გავლენას არ ახდენს ბავშვის ჩასახვის შესაძლებლობაზე. იცოდი, რომ 2000-ზე მეტი წყვილის შესწავლისას (კვლევა ჩაატარა ჯანდაცვის ეროვნულმა ინსტიტუტმა), არ დადგინდა ჩასახვასთან დაკავშირებული განსხვავება ვაქცინირებულ და არავაქცინირებულ წყვილებს შორის. თუმცა, COVID 19-ით დაინფიცირებული მამრობითი სქესის პარტნიორის შემთხვევაში, ბავშვის ჩასახვის შანსი ოდნავ იკლებს, რაც გულისხმობს, რომ COVID-19-მა შესაძლოა დროებით შეამციროს მამაკაცის ნაყოფიერება.[17]

„ესაუბრე მეგობრებს ამის შესახებ“.

ვაქცინირებული ახალგაზრდების ამბების გაზიარება (story telling)

იმ ახალგაზრდების ქცევის შესაცვლელად, რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანია ზემოქმედება მათ დამოკიდებულებებსა და უნდობლობაზე. პრაქტიკაში ეს შეიძლება გულისხმობდეს ისეთი ინფორმაციის გენერირებას, რომელიც ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მყოფ ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, დაინახონ და მოისმინონ უკვე ვაქცინირებულ თანატოლთა გამოცდილება.

კომუნიკაცია ვაქცინების გვერდით მოვლენებზე

---

17 https://www.nih.gov/news-events/news-releases/covid-19-vaccination-does-not-reduce-chances-conception-study-suggests

ვინაიდან საკვლევი პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ერთ-ერთ მთავარ ბარიერად ასახლებს ვაქცინის გვერდით მოვლენებს, მნიშვნელოვანია, გზავნილები ამცირებდეს შფოთვებს ასეთი ეფექტების შესახებ. სასურველია, ეს იყოს თანმიმდევრული, მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია, რომელიც დააინტერესებს არაპროფესიონალ ადამიანს და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს კომუნიკაციას ვაქცინაციის სარგებელსა და უსაფრთხოებაზე. მაგალითად:

„როგორც წესი, COVID-19-ის ვაქცინას მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის გვერდითი ეფექტები აქვს, რომლებიც რამდენიმე დღეში უკვალოდ ქრება. ეს შეიძლება იყოს: ინექციის ადგილის ტკივილი და შეშუპება; დაღლილობა; შემცივნება; ცხელება; ლიმფური კვანძების შეშუპება ან მგრძნობელობის მატება მკლავქვეშ; თავის,

კუნთებისა ან სახსრების ტკივილი; გულისრევის შეგრძნება და ღებინება. ვაქცინის გამოცდის დროს ეს ეფექტები 10-დან 1-ზე მეტ ადამიანში გამოიკვეთა.

COVID-19-ის ვაქცინის ტესტირებისას, რომელშიც 18-იდან 94 წლამდე 30 000 ადამიანი მონაწილეობდა, ვაქცინირებულ პირებში 94,1 პროცენთით შემცირდა COVID-19-ის სიმპტომატური შემთხვევები“.

მსგავსი ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს სოციალური ბარათებით, პლაკატებით, ინფოგრაფიკებით და სხვა საშუალებებით.

დეზინფორმაციის საპასუხო კომუნიკაცია

მედიაში ხშირად ვრცელდება ვაქცინებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია - ცნობები, რომლებიც არ არის გამყარებული მტკიცებულებებით. შესაბამისად, სასურველია, გარკვეული ფორმის შემუშავება იმ მედია დებატების დასარეგულირებლად, რომლებიც საფუძველს უქმნის ვაქცინებისადმი უნდობლობას. რეგულირების ასეთი ფორმა არ უნდა უზღუდავდეს ადამიანებს წუხილის გამოხატვას ვაქცინებსა ან პრევენციულ ზომებზე, რადგან საზოგადოებასა და მეცნიერებას შორის თანამშრომლობა გადამწყვეტია (განსაკუთრებით, ამგვარ ეპოქაში). სოციალური მედიის მომხმარებლებს, რომლებსაც მეტი საგანმანათლებლო ინფორმაცია სჭირდებათ COVID-19-ის ვაქცინაციის საკითხებზე, მეტი მიმზიდველი გზავნილი და ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. ასეთი ინფორმაცია, ზოგადად, უკვე ვრცელდება პოპულარული სოციალური მედიის პლატფორმებზე (მაგ: *Instagram* და *Facebook*), თუმცა საჭიროა, ის პირდაპირ იყოს ორიენტირებული ვაქცინაციაზე. საერთაშორისო კვლევების თანახმად, გარკვეულ დეზინფორმაციას ვაქცინებზე ბოტები[18] ავრცელებენ. შესაბამისად, ჯანდაცვის პროფესიონალებს შეუძლიათ, ეს ინსტრუმენტი სწორი

ინფორმაციის გასავრცელებლად გამოიყენონ. მონაწილეთა თქმით, სასურველი ქცევის მისაღწევად, საზოგადების ცნობიერება უნდა ამაღლდეს დამოკიდებულებამდე - „თუ არ იცრები ტეხავს“.

სხვადასხვა საერთაშორისო კვლევის თანახმად, პრობლემებზე ცნობიერების ამაღლება განავითარებს იმ ორგანიზაციათა სოციალურ ქსელებს, რომლებიც თავდაჯერებით უწევენ ადვოკატირებას პრობლემის აღმოფხვრაზე მიმართულ პოლიტიკასა და პროგრამებს.[19] საერთაშორისო ქცევითმა ინტერვენციებმა აჩვენა, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შემთხვევაში, სხვადასხვა საზოგადოებასა და სოციალურ ჯგუფში ცნობიერების ამაღლება ზრდის ვირუსთან დაკავშირებულ სოციალურ ნორმებს და გავლენას ახდენს იმუნიზაციის პროცესზე. შესაბამისად, დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ ცნობიერების ამაღლება დადებითად მოქმედებს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ სუბიექტურ ნორმებზე.

ადამიანები ხშირად მოქმედებენ იმის მიხედვით, თუ რას მოელიან მათგან სხვები, ამიტომ, ახლობლებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა მათ განზრახვაზე. სუბიექტური ნორმები და

[18] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/33001719/
[19] https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/10945118/

თვითეფექტიანობა ვაქცინაციის განზრახვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საერთაშორისო კვლევის თანახმად, რესპონდენტებზე გავლენას ახდენს ისეთი სუბიექტური ნორმები, როგორიცაა მეგობართა და ოჯახის წევრთა დადებითად განწყობა ვაქცინაციის მიმართ. ადამიანები, რომლებსაც კონსტრუქციული შეხედულებები აქვთ COVID-19-ის ვაქცინებზე, დიდი ალბათობით, რეკომენდაციას გაუწევენ საკუთარ მეგობრებს, ოჯახსა და საზოგადოებას. შესაბამისად, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების მიმღებლობა უკავშირდება სუბიექტურ ნორმებს, რომელთა ფორმირებასა და გამყარებასაც ხელს უნდა უწყობდეს საკომუნიკაციო ინტერვენციები (მაგ: „შენი მეგობრები შენგან მოქმედებას ელიან: უმრავლესობა უკვე მიიჩნევს, რომ ვაქცინაცია პანდემიის დასრულების ერთადერთი გზაა. მსოფლიო გამოცდილებაც ამაზე მოგვითხრობს - უახლეს ისტორიაში, არცერთი პანდემია არ დასრულებულა ვაქცინაციის გარეშე“).

გზავნილების ვიზუალიზაცია

კომუნიკაციაში (განსაკუთრებით, რომელიც ორიენტირებულია ქცევის ცვლილებაზე) არსებითი ადგილი უკავია ვიზუალიზაციას: რაც უფრო ემოციურად და სრულყოფილად გადმოსცემს ვიზუალიზაცია გზავნილის მთავარ შინაარსს, მით დიდია მისი გავლენა. შესაბამისად, მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, ვიზუალიზაციის შემუშავებისას მნიშვნელოვანია სამიზნე პოპულაციის აღქმებისა და დამოკიდებულებების ცოდნა,

მაგალითად, იხილეთ ბილბორდი ლონდონში ლოქდაუნის წესების დაცვის მოწოდებით:

რაოდენობრივი კვლევის დამატებითი მონაცემები

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიგნებები ძირითადად თვისებრივი კვლევის შედეგებს ეყრდნობა, რაოდენობრივი კომპონენტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდა თვისებრივი კვლევის მიგნებების შედარება და გამყარება სტატისტიკური მონაცემებით. გარდა ამისა, გამომდინარე იქედან, რომ რაოდენობრივი კომპონენტის მიზანი არა ზოგადი, არამედ დეტალური ინფორმაციის მოპოვება იყო, კითხვარი მოიცავდა, როგორც დახურულ, ასევე, ღია

კითხვებს. ღია კითხვებმა რესპონდენტებს მისცა შესაძლებლობა დამატებით, დაუფარავად გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევის მიმოხილვის ბოლო ნაწილში.

დიაგრამა #1.



342-მა ახალგაზრდა რესპონდენტმა, რომელთაგან 244 ქალია (71,3%) და 98 კაცი (28, 7%) მონაწილეობა მიიღო კვლევაში „COVID-19 და ვაქცინაცია: წამახალისებელი და შემაფერხებელი ფაქტორები ახალგაზრდებს შორის„ გამოკითხვა ჩატარდა შემდეგ რეგიონებში - აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, და თბილისი,

დიაგრამა #2



გამოკითხულთაგან 48,8% მიიჩნევს, რომ COVID-19 საშიში, თუმცა მართვადი ვირუსია, მათ შორის 25.75% არ არის ვაქცინირებული. ახალგაზრდების 28,7%, რომლებიც COVID-19-ს ძალიან საშიშ ვირუსად მიიჩნევენ, 20.4% არ არის ვაქცინირებული.

დიაგრამა #3.



რესპონდენტთა 65,8% (158 ქალი და 67 კაცი), მათ შორის არავაქცინირებული რესპონდენტებიც უპირატესობას ანიჭებს *Pfizer*-ის ვაქცინას. არცერთს ვაქცინას არ გამოარჩევს რესპონდენტთა 19.9% (41 ქალი და 27 კაცი). *Sinofarm* უპირატესობით სარგებლობს გამოკითხულთა 11.7%-ში (29 ქალი, 11 კაცი). აღსანიშნავია, რომ არავაქცინირებული ქალებიდან (ჯამში 82) მხოლოდ ნახევარი არ ანიჭებს უპირატესობას არცერთ ვაქცინას (40), მაშინ, როდესაც 31 გამოარჩევს *Pfizer*-ს, 9 – *Sinofarm*-ს და 2 *Sinovac*-ს. არავაქცინირებული კაცებიდან (ჯამში 22) 16 არცერთ ვაქცინას არ ანიჭებს უპირატესობას, 2 იხრება *Sinofarm*-სკენ, 3 კი – *Pfizer*-ისა და *Sinovac*-კენ.

„ავიცერი, თუმცა აცრა არ გვიცავს. სჯობს ისეთი ვაქცინა შეიქმნას, რომელსაც გაიკეთებ და არ დაინფიცირდები“.

დიაგრამა #4.



კითხვაზე: „თუ ჯერ კიდევ თავს იკავებთ ვაქცინაციისგან, რა ახდენს გავლენას თქვენს გადაწყვეტილებაზე?" - რესპონდენტებს შეეძლოთ სამი რელევანტური პასუხის მონიშვნა. ყველაზე ხშირად ასახელებენ „ვაქცინის შესაძლო გვერდით მოვლენებს" (61.7%), „სანდო ინფორმაციის ნაკლებობას" (52.6 %) და „ვაქცინის სწრაფად შექმნას" (47.6%).

გვხდება კომბინირებული პასუხებიც: სანდო ინფორმაციის ნაკლებობა, ვაქცინის შესაძლო გვერდითი მოვლენები (მიოკარდიტი, თრომბების წარმოქმნის საშიშროება), ვაქცინით გამოწვეული უნაყოფობა, ვაქცინაციის შედეგად მიღებული მუტაციები და ახალი შტამების წარმოქმნა.

,,ვაქცინის წინააღმდეგი არ ვარ. ვაქცინა არ მიცავს შეხვედრისგან ან იმისგან, რომ სხვას ვერ გადავდებ ეს ჩემი პირადი ჯანმრთელობისთვისაა იგი მხოლოდ სიკვდილიანობას ამცირებს თუმცა არსებობს ფატალური შედეგებიც, რაც ასევე იწვევს ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას ვაქცინაზე, შესაბამისად ვთვლი, რომ ვაქცინის გაკეთება არ გაკეთება მხოლოდ ჩემი პირადი გადაწყვეტილებაა.

,, ბევრი მეცნიერი ამბობს, რომ ვაქცინა იწვევს ახალ შტამებს და თუ გაიხსენებთ სწორედ ვაქცინის შემდეგ გამოჩნდა ახალი შტამები. სომხეთში სადაც მოსახლეობის 25% აცრილი მხოლოდ, ბევრად ნაკლები სიკვდილიანობაა ვიდრე ისრაელში, სადაც მოსახლეობის 70%-ზე მეტია აცრილი"

დიაგრამა #5.



მოტივატორებს შორის, რომლებმაც ახალგაზრდებს ვაქცინაციისკენ უბიძგეს, ოჯახის გადაწყვეტილება დასახელდა(29.5%), ხელმისაწვდომი, სტატისტიკურად სანდო ინფორმაცია (28.4%), სოციალური გარემო და მეგობრები (12.9%) და ვაქცინის ხარისხი (8.8%). გამოკითხულთა 85 % უპირატესობას *Pfizer*-ის ვაქცინას ანიჭებს.

სხვა მოტივატორებს შორის სახელდება: სწავლის გაგრძელება, პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ასაკოვანი ოჯახის წევრების დაცვა, პანდემიის დასრულება, იძულება შეზღუდვების გამო, დაცულობის შეგრძნება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

„ჩემი პიროვნული პასუხისმგებლობები საკუთარი თავის, ოჯახის, მეგობრებისა და საზოგადოების წინაშე“

„დაცულობის შეგრძნება, ფაიზერით დაბუსტვის მიზეზი კი ისეთ ქვეყნებში შესვლა სადაც სინოფარმი არ არის აღიარებული“

„თავდაჯერებულობა შემმატა ინფორმაციამ იმის შესახებ თუ რას შეიცავს ის კონკრეტული ვაქცინა, ასევე როდესაც გავიგე რომ სინოფარმი კლასიკური მეთოდითაა დამზადებული, ანუ მკვდარი ან დასუსტებული ვირუსით, ამან განსაკუთრებით იმოქმედა ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებზე, ვინაიდან ძველი მეთოდი ნიშნავს გამოცდილს“

დიაგრამა #6.



ვაქცინაციაზე ინფორმაციის მისაღებად, რესპონდენტთა უმრავლესობა საინფორმაციო არხებიდან უპირატესობას ანიჭებს სოციალურ მედიას - 36.3% (*Facebook, Instagram, Pinterest, Twitter* ა.შ.). მათ შორის, ვინც სხვა სოციალური აპლიკაციებს იყენებს ინფორმაციის მისაღებად, ნახევარზე მეტი (60.4%) ვაქცინირებულია.

ახალგაზრდებიდან, რომლებიც პირად საუბრებს ანიჭებენ უპირატესობას (15,5%) თითქმის ნახევარი (45%) არ არის ვაქცინირებული. თითქმის ნახევარი (48.7%) იმ გამოკითხულთაგან, რომლებიც საინფორმაციო არხებს შორის უპირატესობას ტელევიზიას ანიჭებენ (10.8%), არ არის ვაქცინირებული.

68 ადამიანმა სხვადასხვა საინფორმაციო არხი გამოარჩია, მათ შორისაა სხვადასხვა ინტერნეტ წყარო, ონლაინ გამოცემა, მეცნიერული სტატიები, ვაქცინის მწარმოებელთა მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები, საზღვარგარეთის პრესა - BBC, CNN, ABC, NEW YORK TIMES, და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებები.

გვხვდება შემდეგი კომენტარებიც: „ოფიციალური საინფორმაციო წყაროები ნეიტრალური ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრებისა, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია ვაქცინაციის უსაფრთხოების დასადასტურებლად, თუმცა არ არიან ვაქცინაციის პროცესის ორგანიზატორები/მონაწილეები და არც მათი დაქვემდებარებულები, ე.ი. არ გააჩნიათ მოტივი ინფორმაციის ფალსიფიცირებისთვის“. არცერთ საინფორმაციო არხს არ ენდობა მხოლოდ 6 ადამიანი. უმნიშვნელოა იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებმაც ამ შეკითხვას პასუხი არ გასცეს.

დიაგრამა #7



ახალგაზრდების უმრავლესობამ (84.2 %) შეკითხვაზე „ვინ არის მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომწოდებელი, რომელსაც ენდობა, განსაკუთრებით ვაქცინაციის საკითხზე“ - დაასახელა ექიმები, და საერთაშორისო ორგანიზაციები (51.5%). რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ სამი შესაძლო პასუხი. ყველაზე ხშირად გვხდება კომბინაცია „ექიმები და საერთაშორისო ორგანიზაციები“, ასევე „ექიმები და რელიგიური პირები. იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც რელიგიურ პირებს ასახელებენ სანდო ინფორმაციის ერთ-ერთ მიმწოდებლად , უმრავლესობა (65%) არ არის ვაქცინირებული. ის ახალგაზრდები, რომლებიც სანდო ინფორმაციის მიმწოდებლად განიხილავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი უმრავლესობა (70%) ვაქცინირებულია. საგულისხმოა ასევე, რომ იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც სანდო საინფორმაციო წყაროდ სოციალურ აქტივისტებს მიიჩნევენ (11%), უმრავლესობა (85%) ვაქცინირებულია.

„მეტი ინფორმაცია კონკრეტული მაგალითებით და კონკრეტული პიროვნებებისგან კვლევების შესახებ გაზრდის სანდოობას ვაქცინაციის მიმართ“.

„მოსახლეობის ინფორმირება უნდა მოხდეს მასშტაბურად კომპეტენტური პირების მიერ, რომ ვაქცინა არის სანდო და უსაფრთხო როგორც ახლა, ასევე, მომავალში“.

დიაგრამა #8

როგორ შეაფასებთ კოვიდ ვაქცინაციასთან დაკავშირებულ სლოგანებს? „მე ავიცერი შენთვის“, „აიცერი/აცრა გვიცავს“, „აიცერი“ და ა.შ.

342 responses

ვაქცინაციასთან დაკავშირებული სლოგანები ახალგაზრდების 36.8%-ს მოსწონს, თუმცა მიიჩნევს, რომ ისინი არ მუშაობს. ასეთი რესპონდენტებიდან 78.6% ვაქცინირებულია.

იმ ახალგაზრდებისგან, რომლებსაც მოსწონთ არსებული სლოგანები და იზიარებენ მათ 84.4 % ვაქცინირებულია. მათგან, ვისაც არ მოსწონთ და აღიზიანებთ არსებული სლოგანები, მხოლოდ 15 %-ია აცრილი.

გვხდება შემდეგი კომენტარებიც: „ვფიქრობ, აცრა ყველა ადამიანის პირადი გადაწყვეტილებაა და მსგავსი ფრაზები დადანაშაულებას უფრო ჰგავს, ვიდრე სამოტივაციო აქტს, რაც ჩემთვის მიუღებელია, არავინაა ვალდებული, თუნდაც პოზიტიური მოტივით, აიცრას მხოლოდ იმიტომ, რომ მე ავიცერი. ამგვარ განცხადებებს მე პირადად თავს ვარიდებ“. „ჩემი აზრით, უფრო კონკრეტული და ცალსახა სლოგანები უნდა იყოს, მაგალითად: „აცრა გვიცავს“ ჩემთვის აჩენს კითხვის ნიშანს, ანუ რისგან გვიცავს აცრა? იმისგან, რომ ვირუსი არ შეგვხვდება, თუ იმისგან, რომ გართულებისგან დაგვიცავს აცრა?“

„**სამწუხაროდ ვთვლი რო ვაქცინაციის კამპანია ჩავარდნილია.** ის დრო, მნიშვნელოვანი დრო ხელიდან გავუშვით როცა **უნდა მომხდარიყო აგიტაცია აცრის, სწორი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობაზე**. დღეს ძაან რთულია, დღეს უბრალოდ თითოეული ჩვენგანი გადავირჩენთ ოჯახს ვირუსის ფატალური შედეგისგან აცრით თორემ მასიურად ხალხის უნდობლობა ვაქცინისადმი უკვე გამოუსწორებად მდგომარეობაშია. ყოველდღიური სიკვდილის ქრონიკაც კი ვერაფერს ცვლის“

„აცრის გარეშეც, შეიძლება გადარჩენა, დროული მკურნალობით და არ ვთვლი, რომ ხსნა აცრაშია..იმიტომ რომ, მაინც ინფიცირდებიან, მაინც რთულდებიან და მიზეზები არ ილევა ყოველი მომდევნო აცრის მოთხოვნისას და რეალურად არც ერთი სლოგანი არ არის ახლოს რეალობასთან“

კითხვარის ბოლოს რესპონდენტებს ქონდათ შესაძლებლობა დამატებით გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები თავისი სურვილისამებრ. კითხვაზე - **ხომ არ გსურთ რაიმე დამატებით გაგვიზიაროთ?** ახალგაზრდებმა რჩევები და სურვილები დაჯგუფდა შემდეგნაირად:

საინფორმაციო კამპანიები, მოსახლეობის ინფორმირება

„დავამატებდი, რომ კამპანიის დაგეგმვის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფაქტი, მოსახლეობის უმრავლესობას გონია რომ ვაქცინა მათ დაიცავს, რომ ვირუსი არ შეხვდეს და ამის მაგალითად მოყავთ, რომ მისი ახლობელი აცრილი იყო მაგრამ მაინც დაემართა და რა საჭიროა მაშინ ვაქცინა. **ერთ-ერთი მთავარი მესიჯი უნდა იყოს, რომ ვაქცინა გვიცავს გართულებებისგან და ლეტალობისგან, ასევე კარგი იქნება თუ ციფრებით, სტატისტიკით და ვიზუალური აღქმითაც ვაჩვენებთ ადამიანებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას“.**

„მჯერა კოვიდის არსებობის და ველოდები ვაქცინას რომელსაც გავიკეთებ და მშვიდად ვიქნები, ვიცოდე რომ ნაკლებად შესაძლებელი იქნება ჩემი დაინფიცირება, არ მინდა იმ ასეულ მასწავლებელს შორის ვიყო რომლებმაც უამრავი ბავშვი დააინფიცირეს სკოლაში, აცრილებსაც ხვდებათ კოვიდი უსიმპტომოდ დადიან და აფრქვევენ ვირუსს. სკოლის მასწავლებლებში, ექიმებში და ყველა დასაქმებულ ადამიანებში აუცილებელი, სასიცოცხლოდ **მნიშვნელოვანია უწყვეტი ინფორმირება, პირადი შეხვედრები სპეციალისტებთან ვაქცინის აუცილებლობის შესახებ, მათ კითხვებს, ეჭვებს რომ გაეცემა დამაჯერებელი პასუხი მაშინ უმრავლესობა აუცილებლად აიცრება.**

„მადლობა მხარდაჭერისთვის კარგი იქნება კარდაკარის პრინციპი სოფლებში რადგან ხალხი არ ფლობს სწორ ინფორმაციას“.

„მოამზადეთ რეკომენდაციები საკომუნიკაციო სტრატეგიაზე მთავრობის და ჯანდაცვისთვის. საკომუნიკაციო არხებად ნუ მოიაზრებთ სოც.ქსელებს. სოც.ქსელების აუდიტორია ან აიცრა, ან პოლუსის მეორე მხარესაა და ამ გზით მათთან არაფერი შეიცვლება“.

„მგონია ყველა ვაქცინაზე, მათ ავ-კარგიანობაზე უნდა იყოს მსჯელობა, დისკუსია, რათა მოსახლეობაში ცნობიერება ამაღლდეს და ყველამ გააზრებულად მიიღოს აცრის და არ აცრის

გადაწყვეტილება. აცრა არ უნდა იყოს ძალდატანებით, არამედ გააზრებულად უნდა მოხდეს ამ ნაბიჯის გადადგმაც".

„მინდა რომ საქართველოში **ჩამოყალიბდეს ორგანიზაცია ან ადამიანთა ჯგუფი რომლებიც მიაწვდიან ინფორმაციაც არავაქცინირებულ ადამიანებს და აუხსნიან სწორად ფაქტებით და დადასტურებული ამბებით".**

„არასრულწლოვან ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მათ ვინც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებში ან/და ორგანიზაციებში **შეიძლება ძალიანაც უნდოდეთ ვაქცინაცია, მაგრამ იქიდან გამომდინარე რომ მათ მშობლებს ან არ სჯერათ ვაქცინის (კოვიდისაც კი) ან რელიგიურად თვლიან რომ არასწორია ვაქცინაცია, არ აქვთ საშუალება მშობლის თანხმობის გარეშე გაიკეთონ ვაქცინა**. ვფიქრობ, რომ **ვაქცინაციის გადაწყვეტილებას ინფორმირებული ახალგაზრდები უფრო მარტივად მიიღებდნენ,** რომ შეეძლოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე თავად პასუხისმგებლობის აღება და ზრუნვა, მშობლის თანხმობის (ან ცოდნის) გარეშე. **მშობლებთან საუბარი შეიძლება ეფექტური გზა იყოს, თუმცა უმეტესი ნაწილი ასახელებს მიზეზს და სწორი ინფორმაციის მიღება აღარ სურს და ვფიქრობ ახალგაზრდა ამის გამო არ უნდა იჩაგრებოდეს".**

„ჩემი აზრით **აქამდე მისვლა გამოიწვია არასწორმა კამპანიამ და ხალხის ზერელე დამოკიდებულებამ კოვიდ 19-ის მიმართ** ჯერ კიდევ არიან ადამიანები რომლებიც ფიქრობენ რომ ეს ვირუსი მოგონილია და ვილაც პოლიტიკოსებს აწყობთ ამგვარი მდგომარეობა, ზოგი კი ფიქრობს რომ უბრალოდ გრიპია და არ უფრთხილდებიან თავს, ვფიქრობ **დროული და სწორი კამპანიით ხალხის ინფორმირებით არ მივიდოდით ამ ეტაპამდე.** ვიმედოვნებ ვაქცინაციის ტემპი მოიმატებს და პანდემია მალე დასრულდება".

„ვფიქრობ, **მნიშვნელოვანია თემატური შეხვედრები ახალგაზრდებთან, მათთან მეცნიერულ დონეზე ინფორმაციის მარტივად, მაგრამ სტატისტიკურად გამყარებული მაგალითებით საუბარი და იმის ახსნა, თუ რა მხრივ გვიცავს ვაქცინა კოვიდისგან,** იმის მიუხედავად, რომ სამწუხაროდ წამოგვეწია ფატალური შემთხვევები. თორემ ამ შემთხვევების გამო, ვაქცინაციისადმი სკეპტიციზმი იმატებს და ადამიანებმა არ იციან რატომ აიცრან, თუ მაინც დაემუქრებათ საფრთხე".

„აუცილებელია მეტი დამაჯერებელი ინფორმაცია და ვაქცინაციის მუდმივი რეკლამირება, რომ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი მოქალაქეები და ანტივაქსერებიც კი დარწმუნდნენ ვაქცინაციის აუცილებლობაში".

„ჩემი აზრით, **ხალხს აკლია ინფორმაცია, სწორი და მიზანმიმართული. აუცილებელია, რომ აუხსნან მოსახლეობას დეტალურად და დაარწმუნონ ვაქცინის უსაფრთხოებაში.**
„კარგი იქნება, მეტი ინფორმაცია გავრცელდეს, ყველას გასაგებ ენაზე, რომ ეს მითები დაიმსხვრეს ვაქცინასთან დაკავშირებით".

ვაქცინაცია

„მთავარია განათლება. რეალობის ცოდნა. ჩემი აზრით, ხალხის უმეტესი ნაწილი ვინც უარს ამბობს ვაქცინაზე, ამბობს იმიტომ, რომ სხვებისგან გაიგო ნეგატიური ამბები, და არ ფლობს შესაბამის ინფორმაციას ვაქცინების შესახებ და თვითონაც ეჭვდება, მაგრამ არ ხარჯავს დროს და ენერგიას იმისთვის, თუ გაარკვიოს სინამდვილეში რა ხდება".

„ჩემი აზრით აცრა აუცილებელია იმათთვის ვისაც არ გაურთულებს ეს ჯანმრთელობას“.

„კი. იქნებ მოვრჩეთ ამაზე გაუთავებელ ბჭობას და დარდს ოდესმე? არსებობს ვაქცინა. პრობლემის მოგვარების გზა უკვე არსებობს და ხელმისაწვდომია. ვინც საკუთარ ჯამრთელობაზე ზრუნავს აიცრება ვინც არა თავისი გადაწყვეტილებაა და პასუხისმგებელი საკუთარ სიცოცხლეზე თვითონაა. რით ვერ გათავდა შეშფოთება იმის გამო რომ ზოგს არ უნდა აცრა? ახალი ამბავი არ არის როგორც ვიცი, საზოგადოების რაღაც ნაწილი გრიპის ვირუსზეც კი არ იცრება. დავამთავროთ და გავაგრძელოთ ცხოვრება როგორმე“.

„ადამიანებში დიდ დაპირისპირებას იწვევს საერთოდ ვაქცინაციის საკითხი. ახალგაზრდებს უკლავენ იმედებს მხოლოდ იმის გამო რომ ჯერ გამოუცდელ რამეში ეჭვი შეაქვს და ლოგიკურად უჩნდება კითხვები. პირადად მე ველი ყოველ დღე ცვლილებებს და შიშის წინაშე ვდგავარ დღეს თუ ხვალ რომ აღარ შემიშვან სასწავლებელში. საზოგადოება და ერთი ერის ხალხიც კი ერთმანეთს უპირისპირდება ამის გამოო. სირცხვილია. ვისაც უნდა აიცრას და ვისაც არ უნდა ნუ აძალებენ“.

„აცრილი ადამიანები ნუ ეწევიან აუცრელთა დისკრიმინაციას, ყველას აქვს არჩევანი თავისუფლება“.

„უმრავლესობამ ძალიან კარგად იცის რა და როგორ უნდა გააკეთოს, უბრალოდ არ სურთ, დაძალება კი არ მგონია დემოკრატიულ სახელმწიფოს პრინციპებს ეთანხმებოდეს, მითუმეტეს რომ არავინ იცის დაზუსტებულად აღნიშნულ ვაქცინებს რეალურად რაიმე უკუჩვენება ექნება გრძელვადიან პერსპექტივაში თუ არა. დღეს ვაქცინა შეიძლება გიცავდეს, თუმცა ამავე დროს შესაძლებლობას გისპობდეს ხვალ იცხოვრო ნორმალურად“.

„ვფიქრობ, უფრო მკაცრი პოლიტიკაა საჭირო ვაქცინაციის მიმართულებით, ასევე ძალიან რთულ მდგომარეობაშია მშობელი როცა დამსაქმებელს არ გადაჰყავს დისტანციურ მუშაობაზე (მნიშვნელობა არ აქვს საჯარო სექტორის თუ კერძო სექტორი დედა დედაა და ბავშვი ბავშვია) მაშინ როცა ბაღი ხან იხურება ხან იხსნება დაფიქსირებული შემთხვევების გამო. უნდა იქნას უზრუნველყოფილი რომ მშობლები რომლებიც მუშაობენ და ყავთ ბაღის ასაკის შვილი დისტანციურად შეეძლოთ მუშაობა. ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მხოლოდ სრულად ვაქცინირებული ოჯახის ბავშვები დაიშვებოდნენ, რათა მაქსიმალურად იქნეს პრევენცია ვირუსით დაინფიცირების, ფაქტობრივად ბეწვის ხიდზე ვუშვებთ ბავშვებს ყველაზე დაუცველ სეგმენტს. სკოლის მოსწავლე იმ ასაკისაა რომ შეიძლება დატოვო სახლში და იყოს უსაფრთხოდ დისტანციურად დაესწროს გაკვეთილებს, ბაღის ასაკის ბავშვები კი ძალიან დაიჩაგრნენ, ისინი საფრთხის ქვეშ არიან მხოლოდ იმიტომ რომ სხვა ბავშვის მშობელი აცრილი არ არის, ძიძა აცრილი არ არის მასწავლებელი აცრილი არ არის, მსგავს დაწესებულებებში სავალდებულო უნდა იყოს ვაქცინაცია“.

„არა დისკრიმინაციას. არა იძულებით ვაქცინაციას. რადგან ვაქცინაცია არ გვიცავს კოვიდის გავრცელებისგან გადამტანი მაინც ვართ და მიუხედავად ამისა მაინც მეტ თავისუფლებას მათ ანიჭებთ და სწორედ ესენი ავრცელებენ ასე ვირუსს. არ იცავენ დისტანციას და არ ატარებენ ნიღაბს“.

„ვერ ვხვდები ხალხი რა ფილმებს უყურებს ან რა წიგნებს კითხულობს ამისთანას რომ უმეტესობას თავი სამეცნიერო ფანტასტიკის სუპერგმირი, კაცობრიობის გადამრჩენელი და მსოფლიო დონის ექიმებზე ჭკვიანი ჰგონია თავი, მაგრამ ერთადერთი რაც ჩვენ შეგვიძლია ჩვეულებრივი ცხოვრების დასაბრუნებლად გვაკეთოთ და საბოლოდ აღმოვფხვრათ ეს ვირუსი არის ვაქცინირება, დისტანციის დაცვა და პირბადის ტარება“.

„ვაქცინირებამ დამიქვეითა მხედველობა და მეხსიერება“.

„სრულად ვაქცინირებული ვარ, თუმცა ძალიან არ მინდა ისე დადგეს საკითხი, რომ ყოველ წელს ე.წ. ბუსტერები გვჭირდებოდეს, რადგან არ ვაპირებ მუდმივად ამ აცრებში ვიყო“.

რეგულაციები/შეზღუდვები

„ასეთი შეკითხვა მაქვს. მე გადავიტანე კორონა და 6 თვე მწვანე ბარათი მაქვს. ვადა რო გაუვა ბარათს ვაქცინაციას არ ვაპირებ იქედან გამომდინარე რომ ეს ყველაფერი არ არის ნამდვილი, ვაქცინა რო ნორმალური იყოს კი არ დაგაძალებდნენ გაკეთებას დაგიმტკიცებდნენ რომ ნაღდად მუშაობს, რასაც ვერ აკეთებენ, ხო რა მაინტერესებდა ვაქცინა რო არ გავიკეთო მშიერი უნდა მოვკვდე? მაღაზიაშიც არ შემიშვებთ? მაშინ რა აზრი აქვს კოვიდი მომკლავს თუ შიმშილით მოვკვდები“.

„რა აზრი აქვს მწვანე ბარათების არსებობას თუ ვაქცინირებული ადამიანები ისევე გადამდებები არიან როგორც არავაქცინირებულები?“.

„სახელმწიფო ცოტას აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ან ანტივაქსერულ მოწოდებებს აკეთებს“.

„მე ვთვლი, რომ რასაც სახელმწიფო აკეთებს პირდაპირ დისკრიმინაციაა. კანონში გვიწერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია მოგვაწოდოს ინფორმაცია არსებული პრეპარატის შესახებ, მაგრამ გაიკეთებს თუ არა მოქალაქე მას მისი პირადი გადაწყვეტილებაა, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები. ის რო მე მაღაზიაში ვერ შევდივარ ან თუნდაც თეატრში და ა.შ იმის გამო, რომ ვაქცინირებული არ ვარ ჩვეულებრივი დისკრიმინაციაა, რაც ასევე კანონით აკრძალულია. კონსტიტუციაში წერია რომ ადამიანის გამორჩევა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციაა. ახლა საზოგადოება დაყოფილია ორ ნაწილად. ვაქსერები და ანტივაქსერები (ე.წ. ბნელები) ეს მედიისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის დამსახურებაა. ვაქცინის წინააღმდეგი არ ვარ, თუმცა სავალდებულო ვაქცინის კი“.

„თუ დავეყრდნობით ფაქტს რომ ვირუსი აუცრელებში უფრო საშიშ მუტაციას განიცდის, კოვიდ რეგულაციები აუცილებელია რაც შეიძლება დიდი მაშტაბით“.

„მწვანე საშვი მიუღებელია ხალხს აიძულებს რომ აიცრას მაგრამ ეს არ გაუვა არავის მე ისევ იმ აზრზე ვიქნები რა აზრზეც ვარ ხალხი რბო არაა და ამას ასე არ დავტოვებთ და არ შევეგუებით ასეთ მჩაგვრელობას რასაც მთავრობა აკეთებს ეს

არის ხალხის გამოყოფა სოციუმიდან რის უფლებაც არავის აქვს. აცრა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და სურვილისამებრ ვისაც ეს სურს“.

„ვაქცინაცია უნდა იყოს ნებაყოფლობითი და კოვიდ პასპორტები უნდა გაუქმდეს რადგან ეს ხელს უწყობს მოსახლეობის ორად გაყოფას რაც ამ პატარა ქვეყანაში არაფრით არ შეიძლება. ისედაც ძალიან ცოტა ვართ ეხლა დროა გავერთიანდეთ და ერთად ვებრძოლოთ ამ ყველაფერს. ამ მთავრობამ კიდევ უნდა მოუსმინოს ხალხს და ხალხის პროტესტს თორემ ყველაფერი ფატალურად დასრულდება“.

„დიახ, როგორც ჩანს ჩვენ უკვე არ ვართ თავისუფალი მოქალაქეები რადგან გვიზღუდავთ და ორად ყოფთ ადამიანებს“.

სხვადასხვა

„ახალგაზრდებში ანტივაქსერობის მიზეზები არაერთგვაროვანია, მაგრამ არსებობს ტენდენციები რაც ბევრს ახასიათებს, აქედან რამოდენიმეს დავასახელებ: 1) მშობლის

წინააღმდეგობა, თუ მშობელი ანტივაქსერია და შვილზე დიდი ზეგავლენა აქვს დიდია ალბათობა რომ შვილი ვაქცინაციაზე უარს ამბობდეს 2) საჭიროების არ არსებობა, აუტკივებელი თავის არ ატკივება 3)ახალგაზრდები არ აიცრიან მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო რომ ჯანმრთელობა გაუფრთხილდნენ, მაგრამ არსებობს მამოტივირებელი ფაქტორები, როგორიცაა უნივერსიტეტში დაბრუნების ნებართვის მიღება, ან კონკრეტულ დაწესებულებაში შესვლის უფლების მიღება 4) თანატოლების ზეგავლენა და სხვების მაგალითი. არსებობენ ეგრეთწოდებული სტუდენტი ინფლუენსერები რომლებიც თანამედროვეობის ეტალონები არიან.

„სამწუხაროდ ამ გამოკითხვას ჩემნაირი ცოტა ეყოლება, რადგან ჭეშმარიტება უმცირესობაშია დღეს. იმედი მაქვს დავძლევთ პანდემიას ერთად. მეცნიერების წყალობით ცხადია. შორს დეზინფორმაცია, რელიგია, გაუნათლებლობა და ანტივაქსერები“.

„კი მინდა დაანებეთ ადამიანებს თავი და თქვენ ცხოვრებას მიხედეთ“.

„ვაქცინა გვიცავს! ეს საზოგადოებამ უნდა შეიგნოს!“

„ჩვენი ექიმების დახმარებით იმედი მაქვს რომ კოვიდ19 2022 წელში აღარ იქნება. ან შემცირებული იქნება მთელს მსოფლიოში და თავისუფლად იცხოვრებს ყველა ადამიანი“.

„ჩაუტარეთ ხალხს უფასო კვლევები დარწმუნდით მის უსაფრთხოებაში და შემდეგ აცერით და გეყოლებათ უფრო მეტი ვაქცინირებული მოსახლეობა“.

„ლატარია, გათამაშებები და საჩუქრები არ იმოქმედებს ვაქცინირებულთა რიცხვის ასამაღლებლად. მთავრობამ უნდა გაუგოს ხალხს და შეამციროს არავაქცინირებული ადამიანების მიმართ აბუჩად აგდებული საუბარი და პირიქით ვაქცინირებული ხალხის მიმართ "სხვა თვალით" შეხედვა. დღეს ვაქცინირებულთა რაოდენობა წყდება ქვედა ფენებში, ერთი ჭორიც კი საკმარისია იმისათვის რომ რამოდენიმე ასმა ადამიანმა შეიცვალოს აზრი და არ აიცრას.“

„მე არ ვიცრები, შენ?“

„იმედი, რომ მალე ჩვენ ქვეყანაშიც შევძლებთ კოვიდთან ერთად ჩვეულ რიტმში არსებობას.“

„ცოტა კრიტიკული აზროვნება გამოიჩინეთ. ადამიანი ხარ. ცხოველი არა რომ თვალდახუჭული ენდო რამეს. ბრბოს ნაწილად ნუ გადაიქცევი.“

„ხალხის მიერ ამდენად გულგრილი მიდგომა მათი და მათი საყვარელი ადამიანების სიცოცხლესთან მიმართებაში ზოგჯერ უიმედობის გრძნობას ბადებს. მცირდება იმედი პანდემიის დამთავრების, პროგრესის, ეკონომიკის გაცოცხლების, ჩვეული ცხოვრების დაბრუნების და ა.შ.“